



NIKOLIZ KANDELAKI



ნიკოლოზ  
კანდელიძე







Handwritten text in the bottom left corner, likely a signature or name, written in a cursive script. The text is oriented vertically and appears to read "S. S. S." followed by some less legible characters.

მაია იზორია  
MAIA IZORIA

ჯიჰოჯნელა და  
ცხოვრების 1889-1970  
მეტამოზოფოზელი

მომანდნაკე ნიკოლოზ კანდელაკი

Personality and Life Metamorphosis

Sculptor Nikoloz Kandelaki

პროექტის ხელმძღვანელი /წიგნის შემდგენელი,  
ტექსტის ავტორი, რედაქტორი:

**მაია იზორია**

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა:

**გიორგი ტაბლიაშვილი**

ყდის დიზაინი:

**ზურაბ მიმინოშვილი**

ფოტო:

**მირიან ჩიქოვანი, რეზი სილაგაძე,  
იური მეჩიტოვი, ბორის სკრინნიკოვი**

მხატვრული და ტექნიკური რედაქტორი:

**მარიამ (მარიკა) იზორია**

ინგლისურის თარგმანი:

**ანასტასია ყოჩიაშვილი**

ინგლისური თარგმანის რედაქტორი:

**ნათია ცხოვრებაძე**

წიგნის შედგენაში მონაწილეობდნენ:

**მაია გურაბანიძე, სოფიკო მაისურაძე**

დიდ მადლობას ვუხდით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის,  
განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა  
საქალაქო სამსახურს:

**ირაკლი გვილაგას, ნინო სულაძეს, ქეთი ევაძეს,  
ოთარ ჩაჩანიძეს**

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას:

**გიორგი გუგუშვილს, ქეთევან ნემსაძეს**

საქართველოს მხატვართა კავშირს:

**გურამ ცერცვაძეს**

Project manager/Compiler and Author of the book,  
Editor:

**Maia Izoria**

Design and computer services:

**Giorgi Tabliashvili**

Design of cover:

**Zurab Mininoshvili**

Photo:

**Mirian Chikovani, Rezi Silagadze.  
Yuri Mechitov, Boris Skrinnikov**

Art editor:

**Mariam (Marika) Izoria**

English translation:

**Anastasia Kochiashvili**

Editor of the English translation:

**Natia Tskhovrebadze**

Participated in book making:

**Maya Gurabanidze, Sophiko Maisuradze**

Special Thanks are due for Support to:

Municipal department of culture,  
education, sports and youth affairs of  
Tbilisi city hall:

**Irakli Gvilava, Nino Suladze, Ketie Epadze,  
Otar Chachanidze**

Apolon Kutateladze Tbilisi State Academy  
of Arts:

**Giorgi Gugushvili, Ketevan Nemsadze**

Georgian Artists Union:

**Guram Tsertsvadze**

თბილისი 2022 TBILISI

© მაია იზორია  
MAIA IZORIA

UDC 73.730

ISBN 978-9941-8-4689-2

სემ. შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმს;  
**მზია კაცაძეს**

სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახ. სურათების  
ეროვნულ გალერეას;  
**მარინა მარდალეიშვილს**

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების  
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ  
ცენტრს;  
**თამარ ბელაშვილს**

დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით:  
**მიხეილ მამულაშვილს, გიორგი ხახუტაშვილს,  
ანდრო ჯიშკარიანს, თამარ კუპრაშვილს,  
გია გერსამიას, მალხაზ კოხრეიძეს,  
გოგა ტრაპაიძეს, ნინო გორდელაძეს, ქეთევან  
სადაგიშვილს, რუსუდან ქუთათელაძეს, ქეთევან  
რუხაძეს, რომა ცუხიშვილს, ირაკლი ხვადაგიანს**

წიგნში გამოყენებულია:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკა. ციფრული ბიბლიოთეკა “ივერიელი”

საქართველოს ცენტრალური ეროვნული არქივის  
კინო-ფოტო-ფონოლოკუმენტების არქივი

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, 1TV  
არხის არქივი

სემ. შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის და  
დ.შევარდნაძის სახ. სურათების გალერეის ფონდები

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის  
ისტორიის მუზეუმის ფონდი.

GNM. Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts:  
**Mzia Katsadze**

GNM. Dimitri Shevardnadze National  
Gallery of Pictures:  
**Marina Mardaleishvili**

George Chubinashvili National Research Centre  
for Georgian Art History and Heritage  
Preservation:  
**Tamar Belashvili**

Special Thanks for Support to:

**Mikheil Mamulashvili, Tamar Kuprashvili,  
George Khakhutashvili, Andro Jishkariani,  
Malkhaz Kokhreidze, Gia Gersamia,  
Goga Trapaidze, Nino Gordeladze, Ketevan Sadagishvili,  
Rusudan Kutateladze, Ketevan Rukhadze, Roma Tsukhishvili,  
Irakli Khvadagiani**

Used in the book:

The National Parliamentary Library of Georgia.  
Digital Library “Iverieli”

Archive of film-photo-phonodocuments of the Central  
National Archive of Georgia

Georgian Public Broadcasting. Archives of 1 TV channel.

GNM. Funds of Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts and  
Dimitri Shevardnadze National Gallery of Pictures

Art Palace of Georgia. Fund of Museum of culture History.



**თბილისის მერია**  
TBILISI CITY HALL



**საქართველოს მხატვართა  
კავშირი**  
GEORGIAN ARTISTS  
UNION





სარჩევი: TABLE OF CONTENTS:

შესავალი 10 INTRODUCTION

პიროვნება და ცხოვრების  
მეტამორფოზები 13 PERSONALITY AND  
LIFE METAMORPHOSES

მოგონებები 65 MEMORIES

საიუბილეო გამოფენის  
კატალოგი 126 ANNIVERSARY EXHIBITION  
CATALOG

ბიბლიოგრაფია 132 BIBLIOGRAPHY

საქართველოს სახალხო არტისტის  
აკაკი ხორავას ბიუსტი. ბრინჯაო,  
73 X 67 X 37 სმ. 1935 წ.  
სემ. საქართველოს სახ. ხელოვნების  
მუზეუმი.

Portrait of the People's Artist  
of Georgia Akaki Khorava.  
Bronze, 73 X 67 X 37 cm. 1935.  
GNM. Georgian State  
Museum of Arts.

# შესავალი Introduction

წიგნი ასახავს თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, საქართველოს სახალხო მხატვრის, თანამედროვე ქართული მონუმენტური ქანდაკების ფუძემდებლის – ნიკოლოზ კანდელაკის (1889-1970 წწ.) მოღვაწეობის იმ მხარეს, რომლის საზრისი, მისწრაფებები და შედეგობრივი ასპექტები საზოგადოებრივ ფართო სფეროს მოიცავს და წარმოაჩენს არა მარტო მოქანდაკის პიროვნებას, არამედ იმდროინდელი თბილისისა და თბილისელების ცხოვრებას. მით უფრო, რომ ნ. კანდელაკის მოღვაწეობის პერიოდში (1926-1970 წწ.), იდეებისა და კულტურული შემოქმედების თვალსაზრისით, დედაქალაქი ითვლებოდა საქართველოს კამერტონად.

წიგნი, პირველ რიგში, ღირებულია ფართო სპექტრით გამოქვეყნებული საარქივო მასალით, რომელშიც თავმოყრილია სამეცნიერო-პოპულარული ენით გადმოცემული ნ. კანდელაკთან დაკავშირებული მოგონებები. მოქანდაკის თანამედროვეები ამ წერილებში ეხებიან არა მხოლოდ ნ. კანდელაკის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, არამედ მოგვითხრობენ იმდროინდელი თბილისის მნიშვნელოვან მოვლენებსა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე ამ მოვლენებისადმი. მოგონებათა ცნობილი ავტორების მიერ გაკეთებულ შეფასებებს გასული საუკუნის თბილისის საზოგადოება დიდ ანგარიშს უწევდა. წერილები თბილისური ამბების აქამდე

The book describes the aspect of the works of one of the most picturesque figures of his time, Professor of the Tbilisi Academy of Arts, People's Artist of Georgia, the founder of contemporary Georgian monumental sculpture - Nikoloz Kandelaki (1889-1970), the meaning, aspirations and outcomes of which cover a wide range of society and presents not only the personality of the sculptor, but also the life of Tbilisi and Tbilisians of that time. Moreover, during N. Kandelaki's activity (1926-1970), the capital city was considered as the camertone of Georgia in terms of ideas and cultural creativity.

The book is, first of all, valuable with a wide range of published archival material, which includes the memories related to N. Kandelaki and presented into scientific-popular language. The sculptor's contemporaries in these letters refer not only to N. Kandelaki's life episodes, but also tell us about the important events occurred in Tbilisi at that time and the attitude of the society towards these events. Evaluations made by famous authors of memoirs were widely reported by the Tbilisi society of the last century. The letters also show the hitherto unknown pages of Tbilisi stories and fill the history of Georgian contemporary fine art with more comprehensive notes. Therefore, bringing the stories conveyed in the text of memoirs to light turns them into a kind of written source, on the basis of which archival information is given historical value and is passed down from generation to generation.

უცნობ ფურცლებსაც გვიშლიან და უფრო ამომწურავი ცნობებით ავსებენ ქართული თანამედროვე სახვითი ხელოვნების ისტორიას. ამიტომ მოგონებათა ტექსტში გადმოცემული ამბების გამომზეურება მათ ერთგვარ წერილობით წყაროდ გადააქცევს, რის საფუძველზეც საარქივო ცნობებს ისტორიული ფასეულობის მნიშვნელობა ენიჭება და თაობიდან თაობას გადაეცემა.

წიგნი აგრეთვე ღირებულია ნ. კანდელაკის აქამდე გამოუქვეყნებელი ბიუსტების, მათ შორის ღია სივრცეში მდგარი ქანდაკებების ვიზუალური მასალითაც. მისი კოლეგების, ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული მოქანდაკის სკულპტურული თუ ფერწერული პორტრეტების და მეგობრული შარჟების გალერეა მკაფიოდ წარმოაჩენს ნიკოლოზ კანდელაკის მოღვაწეობის მნიშვნელობას საზოგადოებაში.

ამიტომ, წიგნს გააჩნია მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება, საარქივო და ვიზუალური მასალით წარმოდგენილი მისი სტრუქტურა განიხილება, როგორც ხსოვნის სიმბოლო არა მარტო თბილისის, არამედ სრულიად საქართველოს კულტურისათვის.

აღნიშნული დოკუმენტური მასალა გათვალისწინებული იყო ნ. კანდელაკის მონოგრაფიისთვის. თუმცა მას შემდეგ, რაც მოულოდნელად აღმოჩნდა მოქანდაკის დიდი რაოდენობის ნამუშევრები, გადაწყდა, რომ დოკუმენტური მასალა სამერმისოდ დამოუკიდებლად გამოქვეყნებულიყო. ამიტომ უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისადმი, რომელმაც ამის განხორციელების საშუალება მოგვცა „შემოქმედებითი თბილისის“ პროგრამის ფარგლებში.

The book is also valuable for its visual material of hitherto unpublished busts by N. Kandelaki, including sculptures in the open space. The gallery of sculptural or pictorial portraits and friendly caricatures of the sculptor performed by his colleagues, famous artists, clearly shows the importance of N. Kandelaki's works in the society.

Therefore, the book has a high public value, its structure presented through archival and visual material is considered as a symbol of memory not only for the culture of Tbilisi, but for the culture of Georgia as a whole.

The mentioned documentary material was envisaged for N. Kandelaki monograph. However, after a large number of the sculptor's works suddenly being found, it was decided that the documentary material should be published independently in the future. Therefore, we would like to express our gratitude to the Department of Culture, Education, Sports and Youth Affairs of Tbilisi City Hall, which enabled us to implement this within the framework of the "Creative Tbilisi" program.





# ზიხოვნება

## და ცხოვრების მეტამოზიკობა

### Personality and Life Metamorphosis

ნ. კანდელაკის შემოქმედება ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედებით ყალიბდებოდა, რა იმპულსებსაც შემოგარენიდან ღებულობდა. ამიტომ მოქანდაკის ხელოვნების შეფასებისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ანალიტიკური რაკურსით განვიხილოთ მასთან დაახლოებული ადამიანების წრე, სადაც ტრიალებდა, სწავლობდა და რომლის გავლენასაც განიცდიდა. გამორჩეული ფსიქოლოგიური წყობის მიუხედავად, ნ. კანდელაკს ახასიათებდა ისტორიული კულტურის ცნობიერება, რომლის ცნება „ნეოკლასიციზტი“ სტილის ნიშნებს ატარებდა და თვისობრივად არ იცვლებოდა

N. Kandelaki's works were influenced by all the factors that received impulses from the surrounding. Therefore, when evaluating the art of the sculptor, we deem it important to consider the circle of people close to him, where he lived, studied and whose influence he felt, from an analytical point of view. Despite the distinctive psychological set-up, N. Kandelaki was characterized by an awareness of historical culture, the notion of which wore the hallmarks of the "neoclassical" style and did not qualitatively change throughout his career. N. Kandelaki's attitude



საქართველოს  
ეროვნული  
არქივი

მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. ნ. კანდელაკის დამოკიდებულება ხელოვნების არსისადმი, ადამიანისადმი, მისი სხეულის რეალური ფორმებისადმი, გამოსახულების პლასტიკური ხორცშესხმისადმი მუდამ ამჟღავნებდა კლასიკურ გაგებას. ამიტომ XX საუკუნის ზოგადევროპულ პროცესებთან კონტექსტში ნ. კანდელაკის ფსიქოლოგიურად დახვეწილი და სიმბოლური საზრისით გამსჭვალული ქმნილებების მხატვრული ღირებულების, მათი იდეური და ემოციური პოტენციალის – მონუმენტური თვისებების გააზრებისას ინტერესს იწვევს ხელოვანის თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება... განსაკუთრებით ის ეპიზოდები, რომელმაც გადაწყვიტა მისი მოქანდაკედ ჩამოყალიბების ბედი და განსაზღვრა ცხოველმყოფელი ძალით გამორჩეული ენერგიული ძერწვის მანერა.

ნ. კანდელაკის მონათხრობი ამბებით,<sup>1</sup> მისი ცხოვრების ისტორია ორი ადამიანის ბიოგრაფიას იტევს... ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მისწრაფებებითა და ცხოვრების წესით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სიცოცხლის პირველი პერიოდი ნ. კანდელაკმა საკუთარი თავის ძიებაში გაატარა და მხოლოდ 33 წლის ასაკში გააცნობიერა ცხოვრების მთავარი დანიშნულება.

ნ. კანდელაკი კულაშელი მღვდლების ოჯახში დაიბადა,

towards the essence of art, towards human, towards the real forms of his body, towards the plastic incarnation of images, has always revealed a classical understanding. Therefore, in the context of the general European processes of the 20th century, when understanding the artistic value of N. Kandelaki's psychologically subtle and symbolic creations, their ideological and emotional potential – monumental features, the artist's adventurous life is of particular interest... especially the episodes that decided his fate to become the sculptor and determined the energetic sculpting manner distinguished by the vivifying power.

According to N. Kandelaki's narratives<sup>1</sup>, the story of his life can embrace the biographies of two people... They differ from each other in their aspirations and way of life. The impression is created that N. Kandelaki spent the first period of his life in search of himself and only at the age of 33 he realized the main purpose of life.

N. Kandelaki was born in a family of priests from Kulashi, his father and grandfather were clergymen. His father was also an active member of the literacy community<sup>2</sup> and the founder of rural primary schools in the suburbs of Samtredia, where he was a teacher. So, N. Kandelaki was descended the educational activity



მარცხნივ ნ. კანდელაკის ძმა ალექსანდრე (საშა), მარჯვნივ აკაკი შანიძე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ. 1904 წ. 30 მაისი.

On the left N.Kandelaki's brother Aleksandre (Sasha), on the right - Akaki Shanidze. After graduating from Kutaisi Theological Seminary, May 30, 1904

წინ, მარჯვნიდან პირველი ზის ნიკოლოზ კანდელაკი, მარცხნიდან პირველი ზის ნ. კანდელაკის ძმა ალექსანდრე (საშა), გვერდით — აკაკი შანიძე. ქუთაისის სასულიერო სემინარიის II კლასი, 1897 წ. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია. საზოგადოებრივი არქივი.

Nikoloz Kandelaki sitting in front, first right, Nikoloz Kandelaki's brother Aleksandre (Sasha) sitting first left, next - Akaki Shanidze. II grade of Kutaisi Theological Seminary, 1897. SOVLAB. Public Archive.



მისი მამა და ბაბუა სასულიერო პირები იყვნენ. მამა ამავე დროს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი<sup>2</sup> და სამტრედიის შემოგარენში სოფლის დანყებითი სკოლების დამფუძნებელი იყო, სადაც თავადაც ასწავლიდა. ასე რომ, აღმზრდელობითი საქმიანობა ნ. კანდელაკს შთამომავლობით მოსდგამდა. ბუნებრივია, რომ სამტრედიის დანყებითი სკოლის დამთავრებისთანავე იგი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში შეიყვანეს. მოქანდაკეს ღრმად აღებეჭდა მესხიერებაში 1895 წელი და ის დღე, როდესაც მშობლიური ქალაქიდან ქუთაისში გაემგზავრა ძმასთან ერთად ეტლში შებმული ცხენებით, რომლებიც ფაფარში ჩანწული წითელი ლენტებითა და მანზალაკების ყლარუნით მიქროდნენ შარაგზაზე.<sup>3</sup> შემდგომი ეტაპი ქუთაისის კლასიკური გიმნაზია იყო, სადაც ნ. კანდელაკს სემინარიის მშვიდი გარემოს ნაცვლად ბობოქარი ატმოსფერო დახვდა და თავუკულმა დააყენა მთელი მისი ცხოვრება.

ნ. კანდელაკს მომავალი მეცნიერების, ლიტერატორებისა და არტიტების არაჩვეულებრივ გარემოცვაში უწევდა ყოფნა და ისევე როგორც მისი ძმა, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა მათთან ურთიერთობას.

იმჟამად გიმნაზიის სული და გული ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი და ყოფილი სემინარიელი – ტიცინ ტაბიძე იყვნენ. მათთან ერთად სწავლობდნენ დავით კაკაბაძე, ივანე იოსელიანი და სხვა



მარჯვნივ დგას ნ. კანდელაკი, მარცხნივ მისი საშუალო ძმა ალექსანდრე (საშა). 1910-იანი წლები.

N.Kandelaki stands on right side, on the left side his middle brother Aleksandre (Sasha). 1910-s.

from his ancestors. Naturally, after graduating from Samtredia Primary School, he was admitted to the Kutaisi Theological Seminary. The year of 1895 and the day when he left his hometown for Kutaisi on a horse-ridden carriage, with red ribbons plaited into a mane and rushing on the road ringing the bells, was deeply etched in the memory of the sculptor<sup>3</sup>. The next stage was Kutaisi Classical Gymnasium, where instead of the quiet environment of the seminary, N. Kandelaki was greeted by a boisterous atmosphere, which





ქართველი მხატვრები;  
დგანან: მარცხნიდან პირველი  
დ.კაკაბაძე, ნ. კანდელაკი,  
კ. კალაძე, ლ გუდიაშვილი,  
სხედან: მარცხნიდან პირველი  
კ. ზდანევიჩი, თ. აბაკელია,  
დ. არსენიშვილი. 1930-იანი  
წლების პირველი ნახევარი.

Georgian Artist; Standing: The  
first from the left D.Kakabadze,  
N.Kandelaki, K.Kaladze,  
L.Gudiashvili, Sitting: the first  
from the left K.Zdanevch,  
T.Abakelia, D.Arsenishvili. The  
first half of the 1930s.

სემინარიელებიც – იოსებ ყიფშიძე და  
აკაკი შანიძე. სემინარიიდან დაიწყო  
ნ. კანდელაკისა და გალაკტიონის  
მეგობრობაც. ასეთი მძლავრი  
ინტელექტუალური იმპულსები  
ცხადია, რომ დიდ გავლენას  
ახდენდა ნ. კანდელაკის, როგორც  
პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ადრეულ წლებში მან რამდენიმე  
პორტრეტი დახატა და კინტოს  
მინიატურული ქანდაკებაც  
გამოძერწა დაფერილი პურის  
ცომისაგან, მაგრამ უფრო მეტად  
იზიდავდა ბუნებისმეტყველება,  
ფსიქოლოგია და ლოგიკა,  
ვიდრე ხატვა. ნ. კანდელაკის  
გულისყური ასევე მიზყრობილი იყო

turned his whole life upside down.  
N. Kandelaki had to be surrounded by  
future scientists, writers and artists  
and he kept in touch with them until  
the end of his life.

At that time, the soul and heart  
of the gymnasium were Valerian  
Gaprindashvili, Paolo Iashvili and the  
former seminarian – Titsian Tabidze.  
Davit Kakabadze, Ivane Ioseliani and  
other seminarians – Ioseb Kipshidze  
and Akaki Shanidze also studied with  
them. The friendship of N. Kandelaki  
and Galaktion started from the  
seminary. Such powerful intellectual



საპროტესტო გამოსვლებისაკენ, რომელმაც იმჟამად ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული მოიცვა. თუმცა ამ მოვლენებმა ვერ დაჩრდილა ლიტერატურული წრეებისა და ვლადიმერ მესხიშვილის თეატრის წარმოდგენების შემოქმედებითი მუხტი. ნ. კანდელაკი მთელი არსებით გადაეშვა ქუთაისური ცხოვრების მორევში, მაგრამ უკეთესი მერმისის იდეით გამსჭვალულ საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობამ მას საბოლოოდ დაატოვებინა გიმნაზია. ამიტომ იგი იძულებულია, რომ

impulses obviously had a great influence on the formation of N. Kandelaki as a person.

In his early years he painted several portraits and even sculpted miniature sculptures of Kinto from colored bread dough, but he was more attracted to natural science, psychology and logic than to painting. N. Kandelaki's attention was also drawn to the protest movements, which then covered every nook and cranny of the city. However,

ქართველი მხატვრები: მარჯვნიდან პირველი ზის ნ. კანდელაკი, გვერდით დ. კაკაბაძე, კ. ზდანევიჩი, მეორე რიგში ზის ლ. გუდიშვილი. თბილისი, 1935 წ.

Georgian artists: N.Kandelaki sits the first from the right side, next D.Kakabadze, K.Zdanevich, L.Gudishvili sits in the second row. Tbilisi, 1935.

პეტერბურგში გაემგზავროს.  
1910 წელს ნ. კანდელაკი  
გიმნაზიელმა მეგობრებმა  
ზარზემით გააცილეს, ხოლო  
ოჯახმა სახელმწიფო სათათბიროში  
ადამიანიც გამონახა, ვინც მას  
ატესტატის გარეშე რეკომენდაციას  
გაუწევდა თავის საოცნებო  
ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში  
სწავლის გასაგრძელებლად. თუმცა  
პირველი შთაბეჭდილება, რომელიც  
ნ. კანდელაკმა პეტერბურგში  
ჩასვლისთანავე მიიღო, ეტიენ  
ფალკონეს პეტრე დიდის ცხენოსანი  
ქანდაკება – „ბრინჯაოს მხედარი“  
გახლდათ.<sup>4</sup> შესაძლოა, მომავალი  
ხელოვანისთვის შთამბეჭდავი  
აღმოჩნდა სკულპტურიდან  
სპონტანურად წამოსული  
მისთვის მახლობელი, ჯერ  
კიდევ გაუთვითცნობიერებელი  
იმპულსები მონუმენტურობისა და  
ჰეროიკულობისა. თუმცა მალე  
იგი თავისუფალ მსმენელად  
ირიცხება ფსიქონევროლოგიურ  
ინსტიტუტში აკადემიკოს ვლადიმირ  
ბეხტერევის კლასში მისი ე. წ.  
ობიექტური ფსიქოლოგიის  
ლექციების მოსასმენად და იმდენად  
დაკავებულია სწავლით, რომ  
„ბრინჯაოს მხედრისგან“ მიღებულ  
შეგრძნებებზე ფიქრის დრო არ  
რჩება. მაშინდელ პეტერბურგში  
ქართველი სტუდენტობა  
სათვისტომოში იყო გაერთიანებული.  
დავით კაკაბაძე, რომელიც იმჟამად  
იქ იმყოფებოდა, სათვისტომოს  
წევრი გახლდათ და ნ. კანდელაკიც  
დააკავშირა ქართველების წრესთან.  
სათვისტომო საინტერესოდ  
ცხოვრობდა. მის შეკრებებზე

these events did not overshadow  
the creative spark of literary circles  
and Vladimir Meskhishvili's theater  
performances. N. Kandelaki was  
completely immersed in the whirlpool  
of Kutaisi life, but participating in a  
protest movement imbued with the  
idea of a better future forced him to  
leave the gymnasium.

So he is forced to travel to Saint  
Petersburg. In 1910 N. Kandelaki  
was noisy seen off by gymnasium  
friends, and the family also found a  
man in the State Duma who would  
recommend him to further his studies  
at his dreamed of psychoneurological  
institute without a certificate.  
However, the first impression felt by  
N. Kandelaki upon his arrival in  
St. Petersburg, was a bronze statue  
of Peter the Great by Etienne Falcone  
– “Bronze Horseman”.<sup>4</sup> Perhaps  
the future artist was impressed by  
the close, yet unaware impulses of  
monumentality and heroism that the  
sculpture spontaneously emanated.  
However, he was soon admitted  
as a free listener at the Institute of  
Psychoneurology in the class of  
Academician Vladimir Bekhterev,  
to attend his so called objective  
psychology lectures and was so busy  
studying that he had no time to think  
about the feelings received from  
the “Bronze Horseman”. Georgian  
students studying at that time in  
St. Petersburg were united in the

მოხსენებით გამოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები, იმართებოდა საჯარო წარმოდგენები და საქველმოქმედო საღამოები. ამიტომ მოქანდაკეს სათვისტომოს გარემო იზიდავდა და მისი ხშირი სტუმარი იყო.

ნ. კანდელაკი ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში დიდი წარმატებით სწავლობდა და განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა საოცარი სიზუსტით შესრულებული ანატომიური ნახატებით, ამიტომ დ. კაკაბაძის რჩევით, დიმიტრიევ-კავკაზსკის სტუდიაში დადიოდა ხატვის გაკვეთილებზე. ნ. კანდელაკის ცხოვრება თითქოს თავის კალაპოტს უბრუნდებოდა, ირგვლივ სიმშვიდე ისადგურებდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა... რადგან მან ჩვეულებას არ უღალატა და კვლავინდებურად მონაწილეობას იღებდა სტუდენტურ საპროტესტო მოძრაობაში, რის გამოც მცირე ხნით დაპატიმრებულიც აღმოჩნდა. ამ დროს პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო და ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის მხოლოდ სამი კურსის დახურვა შეძლო.


ნ. კანდელაკს ფრონტის ხაზზე მოხვედრის ძლიერი სურვილი ჰქონდა. ამიტომ 1914-1915 წლებში იგი ჩამოსული იყო საქართველოში, იქიდან – რიზეში, შემდეგ კი – ტრაპიზონსა და ოფაში, სადაც მსახურობდა „წითელ ჯვარში“. 1915-1918 წლებში მოქანდაკე, ძირითადად, სამხედრო ნაწილის სამეურნეო და სასურსათო დარგში საქმიანობდა, როდესაც დემობილიზაციამ მოუსწრო.

association of countrymen. Davit Kakabadze, who was currently there, was a member of the association and helped N. Kandelaki to contact with the Georgian circle. The association lived interestingly. Famous scholars gave speeches at the meetings, public performances and charity evenings were held. The sculptor was therefore attracted to the association ambience and became its frequent visitor.

N. Kandelaki studied at the Institute of Psychoneurology with great success and deserved special approval for his anatomical drawings performed with amazing accuracy, so, on D. Kakabadze's advice, he took drawing lessons at the Dimitriev-Kavkazsky studio. N. Kandelaki's life seemed to be returning to its bed, peace was resting around him, but it did not last long... Because he did not betray the habit and continued to take part in the student protest movement, for which he was imprisoned for a short time. By this time World War I had started and he only completed the first three years of the Institute of Psychoneurology.

N. Kandelaki had a strong desire to go to the battle line, so in 1914-1915 he came to Georgia, from there to Rize, and then to Trabzon and Opa, where he served in the "Red Cross". From 1915 to 1918, the sculptor

ნიკოლოზ კანდელაკი.  
1950-იანი წლები.  
Nikoloz Kandelaki.  
1950s.



თუმცა 1919 წელს კვლავ ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საჯარისო ფორმირებასთან ერთად, რომელიც ახალციხე-ახალქალაქი-ბათუმის მისადგომებთან ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა. სრული დემობილიზაციის შემდეგ ნ. კანდელაკს გადაწყვეტილი ჰქონდა გაგრაში დასახლება, რადგან იქ სამხედრო ჰოსპიტალში სამუშაოდ იწვევდნენ მომარაგების დარგში. იგი სწორედ გაგრაში შეხვდა და იქორწინა ევგენია ჟუკოვსკაიაზე,

worked mainly in the agricultural and food sectors of the military unit when demobilization occurred. However, in 1919 he returned to the battle line with the army formation of General Giorgi Mazniashvili, who was fighting against the Ottomans on the outskirts of Akhaltsikhe-Akhalkalaki-Batumi. After complete demobilization, N. Kandelaki decided to settle in Gagra because he was being invited to work in a military hospital in the field of supplies. It was in Gagra



პოლონური წარმომავლობის არისტოკრატიული გვარის შთამომავალზე, რომლის მამა, მაღალი სამხედრო ჩინის მქონე პირი, კავკასიაში იყო მოვლინებული.<sup>5</sup> ევგენია დედასთან ერთად პარიზში მიემგზავრებოდა, მაგრამ ქორწინების შემდეგ ნიკოლოზთან ერთად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

აქედან იწყება მოქანდაკის ბიოგრაფიის მეორე პერიოდი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს განვლილი წლების მისწრაფებებთან: ბუნებისმეტყველებასთან, საპროტესტო გამოსვლებთან, ფრონტსა და სამხედრო ნაწილებთან.

where he met and married with Eugenia Zhukovskaya, a descendant of a Polish aristocratic family, whose father, a man of high military rank, was dispatched in the Caucasus.<sup>5</sup> Eugenia was going to go to Paris with her mother, but after her marriage she moved to Tbilisi with Nikoloz.

From that years the second period of the sculptor's biography begins, which has nothing to share with the aspirations of the past years: natural sciences, protest movements, battles and military units. In the second stage, N. Kandelaki's artistic skills are realized.

ნიკოლოზ კანდელაკი მეუღლესთან და ქალიშვილებთან ერთად.

N.Kandelaki with his wife and daughters.


ნიკოლოზ კანდელაკი თავის ქალიშვილთან იასთან ერთად.

N.Kandelaki with his daughter Ia.

მოქანდაკის მეულის  
ევგენია ჟუკოვსკაია-  
კანდელაკის პორტრეტი,  
ტონირებული თაბაშირი,  
78 x 60 x 38 სმ. 1952-1953 წ.წ.  
მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the sculptor's  
spouse — Evgenya  
Zhukovskaya-Kandelaki,  
tinted plaster,  
78 x 60 x 38 cm. 1952-1953.  
Sculptor's studio.





ნიკოლოზ კანდელაკი პეტერბურგის  
სამხატვრო აკადემიის ქანდაკების  
ატელიუმში. ფრაგმენტი, 1924 წ.

Nikoloz Kandelaki at the Sculpture  
Atelier of the St. Petersburg  
Academy of Arts, fragment, 1924.



მეორე ეტაპზე რეალიზებას განიცდის ნ. კანდელაკის მხატვრული უნარები. ძნელია იმის თქმა, თუ რამ გამოიწვია მისი ცხოვრების მეტამორფოზები. შესაძლოა, ოჯახური გარემოს ზემოქმედებით მან თავის თავში აღმოაჩინა სულიერების უჩვეულოდ მიმზიდველი ახალი ზონა... იგი სიამოვნებით ხდება ტყვე ამ ახლისა და 1921 წელს, თბილისში მოწყობილ ქართველ მხატვართა გამოფენაზე წარმოადგენს უცნობი მამაკაცის, სავარაუდოდ, დემობილიზებული სამხედრო პირის, ვინმე პლემიანიკოვის ცვილისგან გამოძერწილ მცირე ზომის ბიუსტს. ამ ნამუშევარმა დ. შევარდნაძის, ი. ნიკოლაძის, ი. შარლემანისა და ე. ლანსერეს ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მამაკაცის ფიზიკური სახის აღქმისას მნახველისთვის ხილვადი ხდებოდა მისი სულიერი მდგომარეობა. 1922 წელს, მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ნ. კანდელაკი იგზავნება იმჟამად პეტროგრადის, ყოფილი სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად, სახალხო განათლების კომისარიატის მიერ დანიშნული სტიპენდიის ხარჯზე.

აქედან იწყება მისი მოქანდაკედ ჩამოყალიბების გზა. ნ. კანდელაკმა გაიზიარა თავისი მასტროს, ცნობილი რუსი მოქანდაკის, ალექსანდრე მატვეევის ხელოვნების შემოქმედებითი პრინციპები, ფორმისქმნალობა, რასაც საფუძვლად დაედო ფრანგული საქანდაკო სკოლის წარმომადგენლების – ა. მაიოლისა

It is hard to say what things caused the metamorphoses of his life. Perhaps under the influence of the family environment, he discovered himself to have an unusually attractive new zone of spirituality... He becomes a captive of this new with pleasure and in 1921, at the exhibition of Georgian artists in Tbilisi, he presents a small bust of an unknown man, presumably a demobilized military man – some Plemyannikov, made of wax. This work captured attention of D. Shevardnadze, I. Nikoladze, I. Charlemagne and E. Lancere by the fact that when perceiving the physical face of a man, his mental state became visible to the viewer. In 1922, by their unanimous decision, N. Kandelaki is being sent to Petrograd, to study at the former St. Petersburg Academy of Arts, at the expense of a scholarship issued by the Commissariat of Public Education.



ნიკოლოზ კანდელაკი შვილიშვილთან, ბესო გრიგოლიასთან ერთად.  
Nikoloz Kandelaki with his grandson Beso Grigolia.



და ე. ბურდელის პლასტიკისათვის სახასიათო მყარი კონსტრუქცია და მდგრადობა. ნ. კანდელაკმა ქანდაკების ეს მაგისტრალური ხაზი დროისა და სივრცის შესატყვისად განავითარა, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს დიქტატურა არ იძლეოდა „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპების რღვევის უფლებას. ამიტომ მისი შემოქმედების სიღრმისეულად განხილვა შესაძლებელია ერთდროულად ევროპულ, საბჭოთა და ქართულ ქანდაკებასთან კონტექსტში.

მწირი ცხოვრებისეული სახსრებისა და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სახელოსნოში მძიმე

This is where the path to becoming a sculptor begins. N. Kandelaki shared the creative principles of the art, the form creation of his maestro, the famous Russian sculptor Alexander Matveev, which was based by solid construction and durability characteristic for the plasticity of the representatives of the French School of Sculpture - A. Mayol and E. Bourdel. N. Kandelaki developed this live main of sculpture to suit time and space, as the dictatorship of the Soviet state did not allow the principles of “socialist realism” to be violated. Therefore, it is possible

სამხატვრო აკადემიის პროფესორები. დგანან: მესამე რიგში მარცხნიდან მესამე ნ. კანდელაკი, მეორე ბ. შებუევი, მეოთხე უცნობი, შემდეგ ვ. მელქაძე, დ. კაკაბაძე. ვ. გრიგოლია, ლ. გოკიელი, უცნობი, მეორე რიგში მარცხნიდან მეორე შ. ამირანაშვილი, შემდეგ ნ. სევეროვი, ა. კალგინი, ე. ლანსერე, უცნობი, ვ. კოტეტიშვილი. სხედან: მარცხნიდან მესამე ა. ნათიშვილი, შემდეგ გ. გაბაშვილი, უცნობი, ჰ. ჰრინევსკი, ვ. ლემნევი, ნ. აგლაძე, გ. მაჭავარიანი, გ. ნათიძე. წინ სხედან მარჯვნივ. ა. ფიცხელაური, მარცხნივ მ. ხანანაშვილი. საქართველოს სამხატვრო აკადემია, 1927 წ.

ნიკოლოზ კანდელაკი  
 ლ. დიმიტრიევ-  
 კავკაზსკის კლასში.  
 კადრში ზურგიდან ჩანს  
 ნ. კანდელაკი შიშველი  
 ნატურის ხატვისას,  
 პეტერბურგი 1910 წ.

Nikoloz Kandelaki in the  
 class of L. Dimitriev-  
 Kavkazski. In the shot,  
 N. Kandelaki is seen  
 from behind, while  
 painting a naked figure.  
 St. Petersburg, 1910.



Professors of the Academy of  
 Arts: Standing: Third left in the  
 third row: N. Kandelaki, second  
 B. Shebuev, fourth unknown,  
 next V. Melkadze, D. Kakabadze,  
 V. Grigolia, L. Gokieli, unknown.,  
 second left in the second row:  
 Sh.Amiranashvili, next N. Severov,  
 A. Kalgin, E. Lancere, unknown,  
 V. Kotetishvili. Sitting: third left  
 A. Natishvili, next G. Gabashvili,  
 unknown, H. Hryniewski,  
 V. Lemnev, N. Agladze,  
 G. Machavariani, G. Natidze.  
 Sitting in front: right  
 A. Pitskhelauri, left  
 M. Khananashvili. Georgian  
 Academy of Arts, 1927.

შრომის მიუხედავად, მოქანდაკის იქ  
 ცხოვრებას თავისი ხიბლი ჰქონდა:  
 ერმიტაჟისა და სხვა სამუზეუმო  
 ფონდების შესწავლა მსოფლიო  
 კულტურის შედეგებად აღიარებული  
 ნამუშევრების გაცნობის ტოლფასი  
 გახლდათ. ამას ემატებოდა ქალაქის  
 ქუჩებში, მოედნებსა და რეგულარულ  
 პარკებში განთავსებული  
 კულტურული მემკვიდრეობის  
 მონუმენტური პლასტიკის ნიმუშების  
 მაღალი საშემსრულებლო დონე.  
 მომავალ მოქანდაკეს ისეთი  
 შეგრძნება ჰქონდა, რომ მსოფლიო  
 ხელოვნების კერები მოინახულა.  
 ამიტომ 1926 წელს ლენინგრადიდან  
 (ახლანდ. სანკტ-პეტერბურგი)  
 დაბრუნებულმა ნ. კანდელაკმა

to discuss his work in depth in the  
 context of European, Soviet and  
 Georgian sculpture at the same time.

Despite the poor living sources  
 and hard work in the studio of the  
 St. Petersburg Academy of Arts,  
 the sculptor's life there had its  
 charms: studying the Hermitage  
 and other museum foundations was  
 tantamount to getting to know the  
 works recognized as masterpieces of  
 world culture. Added to this was the  
 high level of performance of cultural  
 heritage monumental plastic samples  
 placed in city streets, squares and  
 regular parks. The future sculptor



ნიკოლოზ კანდელაკი, 1960-იანი წლები.

Nikoloz Kandelaki, 1960s.

სახელმწიფო დაფინანსებით უცხოეთში სასწავლებლად წასვლაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ იმჟამად საქართველოს სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი პედაგოგების ნაკლებობას განიცდიდა: „ამასთანავე, შიშობდა, რომ შესაძლოა, მისი მეუღლე დედის გავლენით საქართველოში აღარ დაბრუნებულიყო. იგი აგრეთვე დარწმუნებული იყო, რომ ერმიტაჟის ექსპონატების ასლების კეთებამ იმდენი ცოდნა შესძინა, რომ მისთვის საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა.“<sup>6</sup>

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თბილისში მცხეთის ქუჩაზე დასახლდა, სადაც ნ. კანდელაკმა სახელოსნოს მშენებლობა

had the feeling that he had visited the hearths of world art. Therefore, in 1926, after returning from Leningrad (now St. Petersburg), N. Kandelaki refused to go abroad to study with state funding, on grounds that the sculpture faculty of the Georgian Academy of Arts was currently short of teachers. At the same time, he feared that his wife might not return to Georgia under the influence of her mother. He was also convinced that making copies of the Hermitage exhibits had given him so much knowledge that it was no longer necessary for him to study abroad.“<sup>6</sup>

The young couple settled on Mtskheta Street in Tbilisi, where N. Kandelaki started the construction

ქართველ მხატვართა გამოფენა. მეორე რიგში მარცხნიდან მესამე ზის ნიკო კანდელაკი, პირველი შალვა მაცაშვილი, შემდეგ ვახტანგ ჯაფარიძე, მეოთხე თამარ აბაკელია, გვერდით მოსე თოიძე, დავით კაკაბაძე, ვარვარა ბებუთოვა-გაბუნია, ლადო გუდიაშვილი, ფეხზე დგანან მარცხნიდან პირველი აპოლონ ქუთათელაძე, ალექსანდრე მაცაშვილი, დავით წერეთელი, კორნელი სანაძე, ამაიკ აკოფიანი, გიორგი ჟამიერაშვილი, წინ ფეხმორთხულია მარცხნიდან პირველი ირაკლი თოიძე, შემდეგ ვანო პატარიძე. საქართველოს სამხატვრო აკადემია, 1928წ.

ნიკოლოზ კანდელაკი თავის ბაღში. 1960-იანი წლების მეორე ნახევარი.

Nicholoz Kandelaki in his garden. The second half of the 1960s.





საქართველოს  
არქივი  
არქივი

Exhibition of Georgian artists.  
Sitting: Niko Kandelaki third left  
in the second row, first Shalva  
Makashvili, next Vakhtang Japaridze,  
forth Tamar Abakelia, next  
Mose Toidze, Davit Kakabadze,  
Varvara Bebutova-Gabunia, Lado  
Gudiashvili. Standing: first left  
Apolon Kutateladze, Alexandre  
Makashvili, Davit Tsereteli, Korneli  
Sanadze, Amayak Akopiani, Giorgi  
Zhamierashvili. Sitting cross-legged  
in front: first left Irakli Toidze, next  
Vano Pataridze. Georgian Academy  
of Arts, 1928.

წამოიწყო. მოქანდაკე ჯერ კიდევ  
იმყოფებოდა პეტერბურგისა და მისი  
მხატვრული შედეგების გავლენის  
ქვეშ. როგორც თავისი ხალხის  
ღვიძლი შვილი, იგი იმედოვნებდა,  
რომ მომავალში საქართველოსაც  
ექნებოდა მდიდარი მუზეუმები, მით  
უფრო, რომ ამის რესურსი ქვეყანას  
გააჩნდა. ამიტომ ნ. კანდელაკი  
კვლავინდებურად იღვწის, რომ  
მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების  
მხატვრულ ცხოვრებაში. მოქანდაკე  
ჩამოსვლისთანავე პერსონალურ  
გამოფენას აწყობს დღევანდელ  
მოსწავლეთა და ახალგაზრდობის  
სასახლეში. იგი აგრეთვე უკავშირდება  
დ. შევარდნაძეს, რომელიც 1920-იანი  
წლებიდან ეროვნული სამხატვრო

of the workshop. The sculptor  
was still under the influence of  
St. Petersburg and its artistic  
masterpieces. As the blood son of  
his people, he hoped that in the  
future Georgia would also have  
rich museums, especially since the  
country had the resources to do so.  
Therefore N. Kandelaki continues  
to strive to participate in the artistic  
life of the society. Upon arrival,  
the sculptor organizes a personal  
exhibition at the today's Palace  
of Students and Youth. He also  
contacts to D. Shevardnadze, who  
had been creating the foundations

ელენე ახვლედიანის გამოფენის  
გახსნაზე, ცენტრში დგას  
ნ.კანდელაკი, მარჯვნივ უკან  
ჩანს ელენე ახვლედიანი,  
თბილისი, 1960 წ.

At the opening of the exhibition  
of Elene Akhvlediani, N.Kandelaki  
stands in the center, Elene  
Akhvlediani is visible on the right,  
Tbilisi, 1960.



გალერეის ფონდებს ქმნის. მას ამ  
საქმეში „ქართველ ხელოვანთა  
სამოგადოების“ წევრები აქტიურად  
ეხმარებიან. 1926 წელს,  
ნ. კანდელაკი სიმბოლურ ფასად  
გადასცემს ეროვნულ გალერეას  
საქართველოში მოღვაწე  
არაქართველი მხატვრების  
კოლექციისათვის ფერდინანდ  
რუაბეს (რუბო) ბეთით შესრულებულ  
ფერწერულ ტილოს (35 x 27 სმ),  
რომელზეც ასახულია სცენა  
„მასკარადიდან დაბრუნება“.  
1929 წელს, დასავლეთ ევროპული  
მხატვრობის განყოფილებას  
ნ. კანდელაკი კიდევ ერთ  
მნიშვნელოვან სურათს გადასცემს

of the National Art Gallery since the  
1920s. Members of the “Georgian  
Artists’ Community” are actively  
assisting him in this work. In 1926,  
N. Kandelaki sells for very nominal  
rates a painting by Ferdinand Rouabe  
(Rubo) (35 x 27 cm) made in oil to  
the National Gallery for a collection  
of non-Georgian artists working in  
Georgia, which depicts the scene  
“Return from the Masquerade”. In  
1929, N. Kandelaki sells for very  
nominal rates another important  
picture to the Department of Western  
European Art. This is an oil-painted




სამხატვრო აკადემიის პროფესორები სამხატვრო აკადემიის ეზოში: მარცხნივ პირველი ზის ნიკოლოზ კანდელაკი, შემდეგ ვახტანგ ჯაფარიძე, ვლადიმერ კეშელავა, უცნობი, მარჯვნივ მხარეს შალვა კვასხვაძე. აპოლონ ქუთათელაძე, 1960-იანი წლები.

Professors of the Academy of Arts in the yard of the Academy of Arts: Nikoloz Kandelaki sitting first left, next Vakhtang Japaridze, Vladimir Keshelava, unknown, right Shalva Kvashvadze, Apolon Kutateladze, 1960s.

სიმბოლურ ფასად. ეს არის ზეთით შესრულებული ტილო, გვიღო რენის წრე – „ღვთისმშობელი ანგელოზებით“ (70.8 x 57.5 სმ).<sup>7</sup> საკმაოდ დიდხანს, თითქმის 1950-იან წლებამდე მოქანდაკე გატაცებული იყო ფერწერით და ხშირად მონაწილეობდა გამოფენებში ზეთით შესრულებული ტილოებით. სამწუხაროდ, სახელოსნოს დანგრევის შემდეგ მათი კვალი დაიკარგა. როგორც ახლობლები იხსენებენ, ნ. კანდელაკს ფოვისტების ნამუშევართა მსგავსი მკვეთრი, კაშკაშა ფერთა გამა იზიდავდა. ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ასეთი კოლორიტი მიაჩნდა თავისი

canvas by Guido René – “Virgin with Angels” (70.8 x 57.5 cm).<sup>7</sup> For quite some time, almost until the 1950s, the sculptor was obsessed with painting and often participated in exhibitions with oil-made canvases. Unfortunately, their traces were lost after the demolition of the workshop. As his relatives recall, N. Kandelaki was attracted to a sharp, dazzling color gamut similar to those of the works by Fauvist. Probably because such colouration was selected by him for conveying his fiery, quick-tempered character's mental



საქართველოს სახალხო პოეტის  
გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი,  
თაბაშირი, 54,5 X 62,5 X 33,5 სმ.  
1957 წ. მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the People's Poet  
of Georgia Galaktion Tabidze,  
plaster, 54,5 X 62,5 X 33,5 cm.  
1957. Sculptor's studio.



საქართველოს სამხატვრო  
აკადემიის ქანდაკების კლასი.  
ნიკოლოზ კანდელაკი და  
მისი მოწაფეები დაზგებთან  
პორტრეტს ძერწავენ, 1926 წ.

Sculpture class of the Georgian  
Academy of Arts. Nikoloz  
Kandelaki and his disciples while  
sculpting a portrait, 1926.



ფიცი, ცეცხლოვანი ენერგიით  
გამსჭვალული ხასიათის ფსიქიკური  
წყობის გადმოსაცემად. ასეთად  
აღებებდა გალაკტიონს მესხიერებაში  
ნ. კანდელაკი სასტუმრო „ფრანციაში“  
მოწყობილ სამხატვრო გამოფენაზე.  
ექსპოზიციის აღწერისას გალაკტიონი  
ხაზგასმით აღნიშნავს ნ. კანდელაკის  
ტილოსა და საღებავებს,<sup>8</sup> თუმცა  
მისთვის იგი უპირველესად  
მოქანდაკეა, რომლის საჭრეთელსაც  
მიანდობდა საკუთარი პორტრეტის  
შექმნას.<sup>9</sup>

სამხატვრო აკადემიაში მოწვეულ  
დამწყებ მოქანდაკეს იაკობ  
ნიკოლაძემ ინდივიდუალურ  
სახელოსნოში სტუდენტების  
სწავლების ნება დართო და  
ფაკულტეტის სამულიაფოც  
ჩააბარა. პლასტიკურ ფორმასა და  
კონსტრუქციაზე, მის საგნობრიობასა  
და მატერიალურობაზე ყურადღების  
გამახვილებამ ნ. კანდელაკს  
სტუდენტთა წრეში პოპულარობა  
მოუპოვა. ვალენტინ თოფურიძისა

set-up. This is how N. Kandelaki was  
imprinted in the memory of Galaktion  
at the art exhibition organized in the  
hotel “Francia”. In describing the  
exposition, Galaktion emphasizes  
N. Kandelak’s canvases and paints,<sup>8</sup>  
though for him he is primarily a  
sculptor, to whose cutter he would  
entrust the creation of his own  
portrait.<sup>9</sup>

Iakob Nikoladze allowed a novice  
sculptor invited to the Academy of  
Arts to teach students in an individual  
studio and also entrusted the mock-  
up room of the faculty. By the focus  
on the plastic form and construction,  
its subjectivity and materiality,  
N.Kandelaki gained popularity among  
students. According to the families  
of Valentin Topuridze and Shota  
Mikatadze, Iakob Nikoladze did not  
forgive his beloved students for the  
rest of his life that they had moved





ქანდაკების სახელოსნოში:  
მარჯვნივ ნ. კანდელაკი,  
მარცხნივ ი. ნიკოლაძე,  
საქართველოს სამხატვრო  
აკადემია, 1926 წ.

In the sculpture studio: on the  
right N. Kandelaki, on the left  
I. Nikoladze, Georgian Academy  
of Arts, 1926.



ნიკოლოზ კანდელაკი  
ნ.დუმბაძის ფიგურის ძერწვისას,  
1950-იანი წლები.

Nikoloz Kandelaki while sculpting  
the figure of N. Dumbadze,  
1950s.

და შოთა მიქატაძის ოჯახების  
გადმოცემით, იაკობ ნიკოლაძემ  
ცხოვრების ბოლომდე არ აპატიო  
თავის საყვარელ მოწაფეებს მისი  
სახელოსნოდან ნ. კანდელაკთან  
გადასვლა, ასევე საყვედურობდა  
იგი თამარ აბაკელიასაც. ჯუნა  
მიქატაძე იგონებდა: „ი. ნიკოლაძე  
და ნ. კანდელაკი ხშირი სტუმარი  
იყო ჩვენი ოჯახისა. რასაკვირველია,  
ცალ-ცალკე იცოდნენ მოსვლა.  
გაუთავებელი შემოქმედებითი დავა  
ჰქონდათ. ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან,  
ნორმალურად არ დალაპარაკებიან  
ერთმანეთს... ამ დავამ ბევრი კარგი  
მოიტანა. ქართული ქანდაკების  
დღევანდელი დონე მათი პაექრობის

from his studio to N. Kandelaki, he  
also rebuked Tamar Abakelia. Juna  
Mikatadze was recalling: “I. Nikoladze  
and N. Kandelaki were frequent  
guests of our family. Of course, they  
used to come separately. They had  
an endless creative dispute. They  
both died never having talked to  
one another properly... This dispute  
brought a lot of good. The current  
level of Georgian sculptures is also  
a merit of their rivalry.”<sup>10</sup> Students  
were attracted by N. Kandelaki’s  
teaching method, which involved  
sculpting sculptures in front of them



დავით გურამიშვილის ძეგლის  
გახსნაზე, ნიკოლოზ კანდელაკი  
და მერაბ ბერძენიშვილი, 1967 წ.

At the unveiling of the  
monument to David  
Guramishvili, Nikoloz Kandelaki  
and Merab Berdzenishvili, 1967.

დამსახურებაცაა.<sup>10</sup> სტუდენტებს  
იზიდავდათ ნ. კანდელაკის  
სწავლების მეთოდი, რომელიც  
ითვალისწინებდა ატელიეში მათ  
თვალწინ ქანდაკების ძერწვას.  
ამით, თითქოსდა, ფარდა ეხდებოდა  
პლასტიკური სახის შექმნის ოსტატობის  
საიდუმლოს. 1930-იანი წლების  
რეფორმების შემდეგ აღდგენილ  
თბილისის სამხატვრო აკადემიაში  
ნ. კანდელაკი უკვე სათავეში  
უდგება მონუმენტური ქანდაკების  
სახელოსნოს.

უნდა ითქვას, რომ იგი დიდოსტატი  
იყო პორტრეტისა და ფიგურისა. მას  
გააჩნდა ერთგვარი მეექვსე გრძნობა,

in an atelier. By doing so, it seemed  
to reveal the secret of the mastery of  
creating a plastic face. In Tbilisi Art  
Academy, restored after the reforms  
of the 1930s, N. Kandelaki is already  
heading a monumental sculpture  
workshop.

It must be said that he was a  
grandmaster of portraiture and  
figure. He possessed a sort of the  
sixth sense, which seemed to dictate  
to the sculptor the true nature of a  
plastic form. The internal structure  
of the plastic form became visible  
to him, he felt the energy that was



ნიკოლოზ კანდელაკი ირაკლი აბაშიძის ბუსტის ძეგლს ქვეყნისას, 1966 წ.

Nikoloz Kandelaki while sculpting the bust of Irakli Abashidze, 1966.

რაც, თითქოსდა, კარნახობდა მოქანდაკეს პლასტიკური ფორმის ჭეშმარიტ ბუნებას. მისთვის ხილვადი ხდებოდა პლასტიკური ფორმის შიდა სტრუქტურა, იგი გრძნობდა ენერგიას, რომელიც თითოეულ ნამუშევარში მძლავრად გამოხატული მონუმენტური თვისებით ვლინდებოდა. მერაბ ბერძენიშვილი, რომელიც არაერთხელ გამხდარა ნიკოლოზ კანდელაკის შემოქმედებითი პროცესის მონაწილე, წერდა: „როცა მუშაობას იწყებდა, წითური სახე ცეცხლივით უგიზგიზებდა, ხედავდი ამ მოზღვავებული ტემპერამენტის კაცში როგორ დგებოდა სიმშვიდე, როდესაც მისი თითები თიხას შეეხებოდა. ხედავდი ცივ და სველ თიხაში როგორ ჩადგებოდა სითბო, ძალა, სიცოცხლე, როგორ გარდაიქმნებოდა რბილი მასა თიხის

manifested in each of the works with strongly expressed monumental properties. Merab Berdzenishvili, who has repeatedly witnessed the creative process of Nikoloz Kandelaki, wrote: “When he started working, his red face was burning like fire, one could see the calmness in this temperamental man, when his fingers touched the clay. You could see the heat, the strength, the life in the cold and wet clay, how the soft mass was transformed into a dense plastic form of clay. You could see the invisible secret made bright and visible by the creator.”<sup>11</sup> The so called sixth sense of the sculptor had always been accompanied by an elevated individualism of nature and a perception by the



საქართველოს სახალხო  
არტისტის აკაკი ვასაძის  
პორტრეტი. თაბაშირი,  
41 X 27 X 34 სმ. 1934 წ.  
მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the People's Artist  
of Georgia Akaki Vasadze.  
Plaster, 41 X 27 X 34 cm. 1934.  
Sculptor's studio.



ნიკოლოზ კანდელაკის  
 მონუმენტური ქანდაკების  
 სახელოსნო: ნ. კანდელაკი  
 თვალს ადევნებს  
 დიპლომანტების მუშაობას,  
 თბილისის სამხატვრო აკადემია,  
 1950-იანი წლების შუახანები.

Monumental Sculpture Studio of  
 Nikoloz Kandelaki: N. Kandelaki  
 watches the work of the students  
 preparing for diploma exam,  
 Tbilisi Academy of Arts.  
 Mid-1950s.

მკვრივ პლასტიურ ფორმად. ხედავდი  
 იმ უხილავ საიდუმლოს, რომელსაც  
 შემოქმედი ნათელსა და ხილულს  
 ხდიდა“.11 მოქანდაკის ე. ნ. მეექვსე  
 გრძნობას მუდამ თან ახლდა ნატურის  
 ამალღებული ინდივიდუალიზმითა  
 და რომანტიკული ფსიქოლოგიური  
 სპექტრით აღქმა. ეს ზოგადი  
 თვისებები, რომელიც ნ. კანდელაკის  
 უკლებლივ ყველა ფიგურას  
 ახასიათებს, მის პორტრეტულ  
 ბიუსტებში ინტელექტუალური  
 სანყისით აღწევს მაყურებლამდე.

საკმარისია გადავხედოთ  
 მოქანდაკის მიერ შექმნილი  
 ცნობილი ადამიანების  
 პორტრეტებისა და ფიგურების  
 გალერეას, რომ ზემოთქმულში  
 კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ.

romantic psychological spectrum.  
 These general features, which are  
 characteristic for almost every figure  
 of N. Kandelaki, reaches the viewers  
 by an intellectual beginning in his  
 portrait busts.

It is enough to look at the gallery  
 of portraits and figures of famous  
 people created by the sculptor to  
 be convinced of the above once  
 again. Among them are sculptures  
 recognized as the highest  
 expression of Soviet culture, as the  
 masterpieces, with unceremoniously  
 changed names by the conjuncture.  
 This is how Nikoloz Kandelaki's  
 Kolkhi becomes - an Imereti miner



საქართველოს სახალხო  
არტისტის აკაკი კვანტალიანის  
პორტრეტი. ბრინჯაო,  
74 X 39 X 38 სმ. 1955 წ.  
სემ. საქართველოს სახ.  
ხელოვნების მუზეუმი.

Portrait of the People's Artist  
of Georgia Akaki Kvantaliani.  
Bronze, 74 X 39 X 38 cm. 1955.  
GNM. Georgian State Museum  
of Arts.



მათ შორისაა საბჭოთა კულტურის  
უმაღლეს გამოხატულებად,  
შედეგრებად აღიარებული  
ქანდაკებები, რომლებსაც  
კონიუქტურამ უცერემონიოდ  
შეუცვალა სახელები. ასე ხდება  
ნიკოლოზ კანდელაკის კოლხი  
– იმერელი მემადაროვე –  
მშრომელი ადამიანის სიმბოლო,  
ხატი, რომელიც კომპოზიციისა  
და პლასტიკური ფორმების  
ორგანული მთლიანობითაა  
გამორჩეული. ასეთი მხატვრულად

– a symbol of a working man, an  
icon that is distinguished by the  
organic integrity of its composition  
and plastic forms. The proclamation  
of such an artistically perfect  
sculpture as the pinnacle of Soviet  
art shattered the stereotype that  
the sculpture was assessed by  
its classically conveyed accurate  
proportions, precise anatomical  
structure, meticulous facial features,  
and professional characterization.<sup>12</sup>



სრულყოფილი ქანდაკების საბჭოთა ხელოვნების მწვერვალად გამოცხადება აზროვნების იმ სტერეოტიპს ანგრევდა, რომლის თანახმად ქანდაკების შეფასება მისი კლასიკურად გადმოცემული სწორი პროპორციების, ზუსტი ანატომიური აგებულების, ზედმიწევნით ნაჩვენები სახის ნაკვთებისა და პროფესიონალური დახასიათების მიხედვით

The sculptor conveys the dynamics of the tense inner mood and character of the model with really unusual intensity through such compositional means as representing the head and neck by nature, the indirect gaze, the energetic sculpting of facial features. In terms of physical expression, sense of inner dignity and romanticism, it can be compared

აკაკი ხორავა.  
ქვა, 385 X 103 X 41 სმ. 1979.  
არქ. ვახტანგ დავითაია. სენაკი.  
აკაკი ხორავას სახელობის  
სახელმწიფო დრამატული  
თეატრის წინ.

Akaki Khorava.  
Stone, 385 X 103 X 41cm. 1979.  
Arch. Vakhtang Davitaia, Senaki.  
In front of State Drama Theater of  
Akaki Khorava.



შალვა დადიანის ბუსტი, ბრინჯაო, 1975, არქ. ა. ბახტაძე, ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზო, დემონტაჟი განიცადა 2010-იან წლებში.

Bust of Shalva Dadiani, bronze, 1975, Arch. A. Bakhtadze, Yard of the Art-workers' House, Dismantled in 2010s.



ხდებოდა.<sup>12</sup> მოქანდაკე მართლაც არაჩვეულებრივი სიმძაფრით გადმოსცემს მოდელის დაძაბული შინაგანი განწყობისა და ხასიათის დინამიკას ისეთი კომპოზიციური ხერხებით, როგორებიცაა თავითა და კისრით ნატურის წარმოდგენა, ირიბი მზერა, სახის ნაკვეთების ენერგიულად ძერწვა. ფიზიკური გამომსახველობით, შინაგანი ღირსების შეგრძნებითა და რომანტიზმით მას აკაკი ხორავას ბუსტი თუ შეედრება, თუმცა მათ შორის სხვაობაც თვალსაჩინოა. ა. ხორავას გარეგნულად აქტიური, მგზნებარე ტემპერამენტითა და ექსპრესიით გამსჭვალული პოზა,

to the bust of Akaki Khorava, but the difference between them is obvious. A. Khorava's outwardly active, passionate temperament and expressive posture, representation the figure with a strong counterpoint and bare shoulders like an antique hero, was aimed at highlighting the theatrical nature of the model. N. Kandelaki used such a compositional scheme earlier in the 1930s to paint a portrait of Lado Gudiashvili, and here, too, he achieves an impressive effect of expression. Each of N. Kandelaki's

ფიგურის ძლიერი კონტრაპოსტი და ანტიკური გმირივით შიშველი მხრებით წარმოდგენა მიმართული იყო მოდელის თეატრალური ნატურის გამოკვეთისკენ. ასეთ კომპოზიციურ სქემას ნ. კანდელაკი უფრო ადრე, 1930-იან წლებში, ლადო გუდიაშვილის პორტრეტის შესრულებისას იყენებს და აქაც

creations, with their physical and emotional set-up, radiates strong energy. Each of them is imbued with amazing inner dignity, temperament and romantic expression.

The ability to access the human world so deeply must have been a trace of

ფილიპე მახარაძის ბრინჯაოს მონუმენტი ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მოედანზე, სიმაღლე 5 მ., 1958 წ. ოზურგეთის ისტორიის მუზეუმი.

Bronze monument of Philippe Makharadze in Ozurgeti railway station square, height 5m., 1958. Ozurgeti History Museum.



გამომსახველობის შთამბეჭდავ ეფექტს აღწევს. ნ. კანდელაკის ყოველი ქმნილება, თავისი ფიზიკური და ემოციური წყობით, ძლიერ ენერგიას ასხივებს. თითოეული მათგანი საოცარი შინაგანი ღირსებით, ტემპერამენტითა და რომანტიკული ექსპრესიითაა გამსჭვალული.

ადამიანის სამყაროში ასე ღრმად წვდომის უნარი იმ ცოდნის კვალი უნდა ყოფილიყო, რომელიც ნიკოლოზ კანდელაკმა პეტერბურგის გ. ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში შეიძინა. იქ მიღებული ცოდნა იმდენად გაითავისა 18 წლის ახალგაზრდამ, რომ მომავალში, როდესაც სამხატვრო აკადემიის პედაგოგი ხდება, თავის მოწაფეებსაც უნერგავს ნატურის შეცნობას, მისი ყოველმხრივი შესწავლისადმი ინტერესს, ნატურის ფსიქოლოგიური პორტრეტის ჯერ საკუთარ წარმოსახვაში „გამოძერწვას“ და მხოლოდ ამის შემდეგ მისი ვიზუალური სახე-ხატის შექმნას.<sup>13</sup> ასეთივე შემეცნებითი მეთოდით სრულდება ნ. კანდელაკის მონუმენტურ ქანდაკებებად გააზრებული ესკიზური ფიგურებიც. არაჩვეულებრივად მაღალმხატვრულად გადმოცემული მათი მძლავრი მკვრივი სხეულების შინაგანი ენერგიით გაჯერებული პლასტიკა ბუნებრივი და ძალდაუტანებელია. გასაკვირია, მაგრამ ქართული თანამედროვე ქანდაკების მონუმენტური სკოლის ფუძემდებელს თავად

the knowledge that Nikoloz Kandelaki had acquired at V. Bekhterev Institute of Psychoneurology in Saint Petersburg. The knowledge gained there was so mastered by the 18-year-old man that in the future, when he becomes a teacher at the Academy of Arts, he instils in his students a knowledge of nature, an interest in its comprehensive study, “sculpting” a psychological portrait of nature firstly in the own imagination and only then creating a visual image of it.<sup>13</sup> Sketch figures thought by N. Kandelaki to be monumental sculptures are finished with a similar cognitive method as well. Unusually highly artistically conveyed, the energy-saturated plasticity of their powerful dense bodies is natural and free and easy. Surprisingly, the founder of the Monumental School of Modern Georgian Sculpture has a number of sculptures erected in the synthesis with architecture or in the open space, and it was done mainly after his death with the great efforts of his students. From this series of works made during N. Kandelaki’s lifetime, we should mention the relief frieze created on the theme of industrialization and agriculture, which decorates the vestibule staircase of the meeting hall of the constructive building of the Ministry of Foreign Affairs of Georgia located on Sh. Chitadze Street – the





თითზე ჩამოსათვლელად აქვს არქიტექტურასთან სინთეზში, ანდა ღია სივრცეში დადგმული ქანდაკებები და ისიც, ძირითადად, მისი სიკვდილის შემდეგ განხორციელდა თავისი მოწაფეების დიდი ძალისხმევით. ნ. კანდელაკის სიცოცხლეშივე შესრულებული ამ რიგის ნამუშევრებიდან უნდა აღინიშნოს ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის თემაზე შექმნილი რელიეფური ფრიზი, რომელიც არქიტექტორ ნ. სევეროვის მიერ 1920-იან წლებში დაპროექტებული ყოფილი ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს, ამჟამად შ. ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსტრუქტივისტული შენობის სხდომათა დარბაზის ვესტიბულის კიბის უჭრედს აფორმებს. მისი მხატვრული

former Transcaucasian State Council designed by architect N. Severov in the 1920s. His artistic solution, as well as the painting of the meeting hall by E. Lancere and K. Zdanevich was estimated by the conjuncture of that period as the overmodernized. A significant portion of the sculptor's work remained on the machine in anticipation that someday the time would come when they would see the open space, embodied in the material as the author wished.

Nikoloz Kandelaki seemed to resemble his creations. With his golden hair draped over his shoulders, his fellows compared the well-built sculptor of the gigantic body structure to a lion with flowing

დიპლომების დაცვაზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ნიკოლოზ კანდელაკი ფეხზე დგას, 1960-იანი წლები.

On the defense of diplomas at the Tbilisi Academy of Arts. Nikoloz Kandelaki is standing, 1960s.




გადაწყვეტა, ისევე როგორც სხდომათა დარბაზის ე. ლანსერესა და კ. ზდანევიჩის მოხატულობა, იმ პერიოდის კონიუქტურამ ზედმეტად მოდერნიზებულად შეაფასა. მოქანდაკის ნამუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაზგაზე დარჩა იმის მოლოდინში, რომ ოდესღაც დადგებოდა დრო, როდესაც ისინი იხილავდნენ ღია სივრცეს, მასალაში ხორცშესხმულნი, როგორც ეს ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული.

ნიკოლოზ კანდელაკი, თითქოსდა, წააგავდა თავის ქმნილებებს. თანამედროვენი წარმოსადგეგ, ახოვან, გოლიათური აღნაგობის ენერგიულ მოქანდაკეს მხრებზე ჩამოყრილი ოქროსფერი თმებით ფაფარაყრილ ლომს ადარებდნენ. ასეთი განუმეორებელი გარეგნობის გამო მას ხშირად ხატავდნენ, ძერწავდნენ, არცთუ იშვიათად მეგობრული შარჟების ობიექტი ხდებოდა. ერთხელ ნ. კანდელაკი კინოფილმ „გიორგი სააკაძეშიც“ გადაიღეს, გერმანელი ელჩის მეტად სახასიათო როლი მიანდგეს. თავისი ნამონაფარები მას ლექსებსაც უძღვნიდნენ, იხსენებდნენ, რომ ენამახვილობასთან ერთად, ნიკოლოზ კანდელაკს პირდაპირობაც მოსდგამდა, ის, რაც თავად სჭეროდა და რაც სიმართლედ მიაჩნდა, ამის თქმას არასოდეს ერიდებოდა, განსაკუთრებით ცხარობდა მაშინ, როდესაც კამათი ქანდაკებას შეეხებოდა. ხელოვანს სწამდა, რომ „ემოციას“ „რაციო“ მართავდა.

დიპლომების დაცვაზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში. სხედან აპოლონ ქუთათელაძე და, ნიკოლოზ კანდელაკი, 1960-იანი წლები.

On the defense of diplomas at the Tbilisi Academy of Arts Apolon Kutateladze and Nikoloz Kandelaki are sitting. 1960s.



ნიკოლოზ კანდელაკი. 1940-იანი წლები.


Nikoloz Kandelaki. 1940s.

mane. Because of such a unique appearance, he was often painted, sculpted, and not infrequently became the object of friendly caricatures. Once N. Kandelaki was also filmed in “Giorgi Saakadze” and was given the very characteristic role of a German ambassador. His former students also dedicated poems to him, recalling that in addition to his eloquence, Nikoloz Kandelaki was also direct, what he himself believed and what he thought to be true, he never hesitated to say, especially when arguing about the statue. The artist believed that “emotion” was controlled by “ration”. Observation, the relationship with the object, the search for its character, the



დაკვირვება, ურთიერთობა  
ობიექტთან, მისი ხასიათის ძიება,  
შესაბამისი ძერწვის მანერა,  
რომელსაც მხოლოდ თითების  
მანიპულაციით აღწევდა, მოქანდაკის  
აზრით, კონკრეტული მოდელის  
არსის, მისი ბუნების მკვეთრი  
მხატვრული გამომსახველობით  
გადმოცემის უმთავრესი პირობა იყო.  
ახლობლები იხსენებენ, რომ ამის  
გამო ნიკოლოზ კანდელაკის ძლიერ  
ხელსა და თითებს საჭრეთლის  
მსგავსი ბრტყელი ფორმა ჰქონდა  
მიღებული.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა,  
ოჯახურმა ტრაგედიამ ყველაფერი  
გააფერმკრთალა: ჯერ 1924 წლის  
ატანყებაში მონაწილე უმცროს ძმას



appropriate manner of sculpting,  
which could only be achieved by  
manipulating the fingers, were, in the  
sculptor's view, the main condition for  
conveying the essence of a particular  
model, for sharp artistic expression  
of its nature. Relatives recall that  
because of this Nikoloz Kandelaki's  
strong hand and fingers had taken on  
a flat shape similar to a cutter.

Despite such success, the family  
tragedy faded everything: first, a  
younger brother involved in the  
1924 uprising was shot<sup>14</sup>, and  
later, in 1937, another brother was  
sentenced to death in connection

ნიკოლოზ კანდელაკი  
მოწაფეებთან ერთად;  
მარჯვენა მხარეს დგას მერაბ  
ბერძენიშვილი, მარცხნივ,  
შოთა მიქატაძე, უკან, გიგლა  
პირტხალავა. 1960-იანი წლები.

Nikoloz Kandelaki with his  
students; Standing: right  
Merab Berdzenishvili, left  
Shota Mikatadze, back Gigla  
Pirtskhalava. 1960s.

ნიკოლოზ კანდელაკი ფიგურის  
ძერწვისას თავის სახელოსნოში  
მცხეთის ქუჩაზე, თბილისი,  
1960-იანი წლების შუა ხანები.

Nikoloz Kandelaki while sculpting  
a figure in his studio at Mtskheta  
Street, Tbilisi, the mid-1960s.



ნიკოლოზ კანდელაკის მონუმენტური ქანდაკების სახელოსნო: ნ. კანდელაკი თვალს ადევნებს დიპლომანტების მუშაობას, თბილისის სამხატვრო აკადემია, 1950-იანი წლების ბოლო.

Monumental Sculpture Studio of Nikoloz Kandelaki: N. Kandelaki watches the work of the students preparing for diploma exam, Tbilisi Academy of Arts, end of 1950s



ხვრეტენ,<sup>14</sup> მოგვიანებით კი, 1937 წელს, გახმაურებულ „ექიმების საქმესთან“ დაკავშირებით მეორე ძმასაც სიკვდილით სჯიან. ნიკოლოზ კანდელაკის ჩუმი პროტესტი იყო კომუნისტურ პარტიაში შესვლაზე უარის თქმა, თუმცა იგი აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას.

ნ. კანდელაკმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში არა მარტო დააფუძნა მონუმენტური ქანდაკების სახელოსნო, არამედ მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა ქანდაკების კათედრასაც. სამხატვრო აკადემია მას მეორე ოჯახად მიაჩნდა და მუდამ იდგა სადარაჯოზე, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა. მოქანდაკე მისთვის ჩვეული

with a widely-known “Doctors case.” Nikoloz Kandelaki’s silent protest was a refusal to join the Communist Party, although he continued to work actively. N. Kandelaki not only established a monumental sculpture studio at the Tbilisi Academy of Arts, but also later headed the sculpture department. He considered the Academy of Arts as his second family and always stood guard when the question of the presence or absence of a high school was raised. The sculptor began to fight with his usual scrupulousness and loudly protested to save the Academy of Arts. This was the case in the 1930s, when



პრინციპულობით იწყებდა ბრძოლას და ხმამაღლა გამოხატავდა პროტესტს სამხატვრო აკადემიის გადასარჩენად. ასე იყო 1930-იან წლებში, როდესაც უმართებულო რეფორმების გამო უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი გარკვეული პერიოდით გაუქმდა. ასე მოხდა 1960-იან წლებშიც, როდესაც სახვითი ხელოვნების დარგები უსარგებლოდ მიიჩნიეს და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ დარგის

the Higher Art School was closed for a period of time due to incorrect reforms. The same thing happened in the 1960s, when the fields of fine arts were considered useless and the faculties of this field were closed in all art centers throughout the Soviet Union.

The pedagogical work of Nikoloz Kandelaki deserves special attention.

ნიკოლოზ კანდელაკი  
სამხატვრო აკადემიის  
ქანდაკების სახელოსნოში,  
1955 წ.

Nikoloz Kandelaki in the  
Sculpture Studio of the Academy  
of Arts, 1955.



ფაკულტეტები ყველა სამხატვრო ცენტრში დახურეს.

ნიკოლოზ კანდელაკის პედაგოგიური მოღვაწეობა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. პედაგოგობის ნიჭი მას მამადან მოსდგამდა და ამ სფეროში თავადაც ისევე იხარჯებოდა, როგორც შემოქმედებაში, ამიტომ მის სახელოსნოს „შეგირდების სახელოსნოსაც“ უწოდებდნენ. მას წლობით ჰყავდა შეკვდილებული იმედის მომცემი სტუდენტები, რომლებსაც ყველანაირად უწევდა დახმარებას: კვებავდა მათ, საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობის უფლებას აძლევდა. იგი ასევე ხელს უწყობდა მასთან დაახლოებულ მხატვრებსაც, რომლებსაც მატერიალურად უჭირდათ. როგორც ჩანს, ნ. კანდელაკი ახალგაზრდობის წლებში საჭარისო ნაწილების კვებისა და მომარაგების დარგში საქმიანობის შედეგად გამომუშავებულ თვისებებს ვერ შეეღია, რადგან ბუნებით ფილანთროპი იყო და ქველმოქმედება სიამოვნებდა. ამიტომ მისადმი მიძღვნილი მოგონებები მადლიერებით აღსავსე წერილებია არა მარტო ნათესავ-მეგობრების – ნინო კანდელაკის, ირაკლი აბაშიძის, შალვა კვასხვაძის, სიმონ ნაციაშვილის, უჩა ჯაფარიძის, ალექსანდრე და აკაკი შანიძეების, ზურაბ ლეჟავას, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, არამედ მოქანდაკის ცნობილი ნამონათფარების – მერაბ

His pedagogical talent came from his father and he worked in this field as in creativity, so his workshop was also called the “Apprentices’ Workshop”. For years, he gave refuge to talented students whom he helped in every way possible: he fed them, gave them access to books from his own library. He also supported artists close to him who were in financial difficulties. It seems that N. Kandelaki could not give up the qualities developed as a result of his work in the field of food and supply of military units in his youth, because he was by nature a philanthropist and enjoyed charity. Therefore, the memoirs dedicated to him are the letters full of gratitude not only by his relatives and friends - Nino Kandelaki, Irakli Abashidze, Shalva Kvashvadze, Simon Natsiashvili, Ucha Japaridze, Aleksandre Shanidze and Akaki Shanidze, Zurab Lezhava, Alio Mirtskhulava, Karlo Kaladze, but of the well-known former students of the sculptor – Merab Berdzenishvili, Zurab Tsereteli, Elguja Amashukeli, Gogi Ochiauri, Boris Tsibadze, Gibson Khundadze, Juna Mikatadze, Levan Tsutskiridze, Gigla Pirtskhalava and others. It is known that the grateful apprentices celebrated the 65th anniversary of the Maestro, the venerable Shalva Dadiani was also present this evening. Gogi Ochiauri



ბერძენიშვილის, ზურაბ წერეთლის, ელგუჯა ამაშუკელის, გოგი ოჩიაურის, ბორის ციბაძის, ჭიბსონ ხუნდაძის, ჯუნა მიქატაძის, ლევან ცუცქერიძის, გიგლა ფირცხალავასი და სხვათა. ცნობილია, რომ მადლიერმა შეგირდებმა მასტროს 65-ე წლისთავი გადაუხადეს, ამ საღამოს მხცოვანი შალვა დადიანიც ესწრებოდა. გოგი ოჩიაური თავის მოგონებაში წერდა: „ბატონი ნიკოს ქანდაკება აღმოჩნდა მყარი საძირკველი შემდგომი მთელი ქართული ქანდაკებისა. აკადემიაში ის ასწავლიდა მონუმენტურ ქანდაკებას და საბედნიეროდ, არა ხერხებს ასეთი ჟანრისა, არამედ პრინციპებს, რის გამოც მისი მოწაფეები დღეს ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მონუმენტური ხედვის შეუდარებელი ნიჭით დაჯილდოვებულს, ძერწვისას თან პლასტიკური ხელოვნებისთვის აუცილებელი ცენზორი – მაღალი კულტურა ახლდა. ამიტომაც მისი ქანდაკება თავისუფალი რაიმე საშიში პროვინციული მანკისაგან. აფექტაციას მოკლებული მისი მაღალი ღირსების ქანდაკება

wrote in his memoirs: „The sculpture by Mr. Niko turned out to be a solid foundation for all subsequent Georgian sculptures. At the academy he taught monumental sculpture and fortunately, not the techniques of such a genre, but the principles that make his students so different from one another today.


Awarded with incomparable talent for monumental vision, he was accompanied by a censor necessary for plastic art – high culture. That is why his sculpture is free from any dangerous provincial defect. Deprived of affection, his sculpture of high dignity is hard to comprehend for the untrained spectator.


He worked deprived of the attention of the wide public, nor did the palace door open for him because he was not like some others. He left us a worthy art of sculpture. Descendants are obliged to pay homage to the great sculptor.“<sup>15</sup> We have to add the names of Tamar Abakelia,

ნიკოლოზ კანდელაკის 80 წლის საიუბილეო საღამო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. 1969 წ. მაისი.

Nikoloz Kandelaki's 80<sup>th</sup> anniversary in Tbilisi Zakaria Paliashvili State Theater of Opera and Ballet. May, 1969.

შოთა კუპრაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკის საიუბილეო საღამოს მოსაწვევი.





ნიკოლოზ კანდელაკს  
 ულოცავენ: მოქანდაკე  
 და გრაფიკოსი გიგლა  
 ფირცხალავა, ენათმეცნიერი  
 აკადემიკოსი აკაკი შანიძე,  
 ფერმწერი აპოლონ  
 ქუთათელაძე და სხვა.

Congratulations to Nikoloz  
 Kandelaki: sculptor and graphic  
 artist Gigla Pirtskhalava, linguist  
 Akaki Shanidze, painter Apollon  
 Kutateladze and others.

Shota Kuprashvili, Invitation to  
 Nikoloz Kandelaki's anniversary.

ძნელად აღსაქმელია უწრთვნელი  
 მაყურებლისთვის. მან დაგვიტოვა  
 ღირსეული ხელოვნება ქანდაკებისა.  
 შთამომავლობა ვალდებულია  
 ღირსეული პატივი მიაგოს დიდ  
 მოქანდაკეს".<sup>15</sup> ნ. კანდელაკის  
 ზემოთ მოხსენებულ მოწაფეთა რიგს  
 დავემატებდით თამარ აბაკელიას,  
 ელენე მაჩაბლის, ნელი ალექსიძის,  
 ვალენტინ თოფურიძის, გოგი  
 თოიძის, ამირან ბილანიშვილის,  
 კარლო გრიგოლიას, კობა  
 გურულის, გულდა კალაძის, ოთარ  
 მელიქიშვილის, შოთა მიქატაძის,  
 ირაკლი ოჩიაურის, გიგლა  
 ფირცხალავას, ბორის ციბაძის, კობა  
 გურულის, თენგიზ კიკალეიშვილის,  
 ვიქტორ ჭუმბურიძის, ოთარ  
 ფარულავას, რომანოზ შეროზიას,  
 ნეველი ჯიქიას, გურამ კორძახიას,  
 გურამ ქაჯაიას, გიორგი შხვაცაბაიასა  
 და გია ჯაფარიძის სახელებს.

მ. ფალიაშვილის სახ. თბილისის  
 ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო  
 თეატრში გამართულ საიუბილეო  
 საღამომზე თბილისის საზოგადოება  
 საზეიმოდ ულოცავდა მოქანდაკეს  
 მე-80 წლისთავს. სურათების  
 სახელმწიფო გალერეაში 1969 წლის

Elene Machabeli, Neli Aleksidze,  
 Valentin Topuridze, Gogi Toidze,  
 Amiran Bilanishvili, Karlo Grigolia,  
 Koba Guruli, Gulda Kaladze, Otar  
 Melikishvili, Shota Mikatadze, Irakli  
 Ochiauri, Gigla Pirtskhalava, Boris  
 Tsibadze, Koba Guruli, Tengiz  
 Kikaleishvili, Viktor Chumburidze,  
 Otar Farulava, Romanoz Sherozia,  
 Neveli Jikia, Guram Kordzakhia,  
 Guram Kajaia, Giorgi Shkhvatsabaia  
 and Gia Japaridze to the list of  
 students of N. Kandelaki mentioned  
 above.

At the jubilee evening held at  
 Z. Paliashvili Tbilisi State Opera and  
 Ballet Theater, the Tbilisi society  
 solemnly congratulated the sculptor  
 on his 80th birthday. 120 works  
 presented at the solo exhibition at the  
 State Gallery of Pictures on May 25,  
 1969 were a clear confirmation of his  
 great talent.<sup>16</sup> N. Kandelaki's jubilee  
 exhibitions were also organized in  
 Kutaisi<sup>17</sup> and Batumi Galleries of  
 Pictures. Later, a solemn evening





ნიკოლოზ კანდელაკის 80 წლის იუბილე მშობლიურ სამტრედიაში 1969 წ. ივლისი.

The 80<sup>th</sup> anniversary of Nikoloz Kandelaki in his homeland Samtredia. July, 1969.

სიტყვას ამბობს ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძე. მარჯვნივ მხარეს ზის ნ. კანდელაკი.

Art critic Shalva Kvashvadze giving a speech from the tribune. Sitting: left N. Kandelaki.



სამტრედიის სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნა. მარჯვნივ დგას ნ.კანდელაკი.

Opening of Samtredia Museum of Fine Arts. N. Kandelaki standing on the right.



მოქანდაკის იუბილის აღნიშვნა და გიორგი ნიკოლაძის ძეგლის გახსნა სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.

Celebration of anniversary of the sculptor and opening of the monument of Giorgi Nikoladze in the house-museum of Niko Nikoladze in Didi Jikhaishi, Samtredia Region.



ნიკოლოზ კანდელაკი და სამტრედიის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ კობრეიძე.

Nikoloz Kandelaki and Nodar Kokhreizde - Chairman of the Samtredia Regional Committee.

სიტყვას ამბობს საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, გრაფიკოსი ზურაბ ლეჟავა.

Chairman of the Union of Artists of Georgia, graphic artist Zurab Lezhava giving a speech.



სიტყვას ამბობს ხელოვნებათმცოდნე სიმონ ნაციაშვილი.

Art critic Simon Natsiashvili giving a speech.



25 მაისს გახსნილ პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილი 120 ნამუშევარი ნათელი დადასტურება იყო მისი დიდი ნიჭისა.<sup>16</sup> ნ. კანდელაკის საიუბილეო გამოფენები მოეწყო ქუთაისისა<sup>17</sup> და ბათუმის სურათების გალერეებშიც. მოგვიანებით, საბეიმო საღამო გაიმართა მოქანდაკის მშობლიურ ქალაქში, სამტრედიაში, სადაც ნ. კანდელაკის ბიუსტები ახლად გახსნილი სახვითი ხელოვნების მუზეუმის სივრცეში გამოიფინა<sup>18</sup>. მისი სახელი ეწოდა სამტრედიის ერთ-ერთ ქუჩას და ბათუმის სამხატვრო სასწავლებელს. 1970 წლის 30 ნოემბერს, გარდაცვალების შემდეგ, იგი წარდგენილ იქნა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე.<sup>19</sup> თუმცა მაშინდელი მხატვართა კავშირის თავმჯდომარის, უჩა ჯაფარიძის დიდი ძალისხმევით მიუხედავად, კომისიამ უპირატესობა ნ. კანდელაკის მოწაფეს, ელგუჯა ამაშუკელს მიანიჭა. მისი გარემოცვა იხსენებდა, რომ ნ. კანდელაკს აკვიატებული ჰქონდა ფრაზა – შვილი უნდა ჯობდეს მამასაო. ვარაუდობდნენ, ამ შემთხვევაშიც დიმილიანი სახე ექნებოდა. ეს

was held in the sculptor’s hometown, Samtredia, where N. Kandelaki busts were exhibited in the space of the newly opened Museum of Fine Arts.<sup>18</sup> One of the streets of Samtredia and Batumi Art School were named after him. On November 30, 1970, after his death, he was nominated for Shota Rustaveli State Prize.<sup>19</sup> However, despite the great efforts of the chairman of the Artists’ Union, Ucha Japaridze, the commission gave priority to N. Kandelaki’s student, Elguja Amashukeli. His surroundings recalled that N. Kandelaki used to say the phrase – a child should be better than a father. It was suggested he would have a smiling face in this case too. This is probably because he was not much lucky in the competitions. He was used to it and perceived as normality. He severely suffered a defeat only once – in the competition for the monument of Zakaria Paliashvili, because he himself knew that with the abilities of sculpting he reached the highest level of materialization of the emotional-

ნიკოლოზ კანდელაკის სსოვნის საღამო მის სახელოსნოში, თბილისი, 1976 წ. 17 ოქტომბერი.

Evening in memory of Nikoloz Kandelaki in his studio, Tbilisi, 17 October 1976.





ალბათ იმიტომ, რომ კონკურსებში დიდად არ სწყალობდა ბედი. ამას იმდენად მიეჩვია, რომ ჩვეულებრივ ამბად აღიქვამდა. დამარცხება მწვავედ განიცადა მხოლოდ ერთხელ – ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის კონკურსზე, რადგან თავადაც იცოდა, რომ ქანდაკების შესაძლებლობებით მან უმაღლეს დონეზე მიაღწია მხატვრული სახის ემოციურ-მუსიკალური სანწყისის მატერიალიზებას. ნ. კანდელაკმა ფიგურის პოზის, სილუეტის, სამოსის ნაკვეთების ხასიათით შემოიტანა რიტმი, რომელიც მელოდიასავით გადაედინება ერთმანეთში და კომპოზიტორის სულიერ გამომსახველობას მუსიკალურობას ანიჭებს. უფრო მეტიც, ქართული მუსიკის სიმბოლოდ, მისადმი მიძღვნილ მონუმენტად გვაგრძობინებს ქანდაკებას. ნ. კანდელაკის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელოსნო გახდა ერთგვარი საზოგადოებრივი ზონა, სადაც ტარდებოდა მხატვართა კვირეულები და ეწყობოდა მოქანდაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები.

musical beginning of the artistic face. N. Kandelaki introduced a rhythm in the character of the figure pose, silhouette, folds of clothes, which flows like a melody into each other and gives the composer's spiritual expression musicality. Moreover, makes us to feel the sculpture like a symbol of Georgian music, a monument dedicated to it. After N. Kandelaki's death, his studio became a kind of public area where artists' weeks were held and evenings dedicated to the sculptor were organized.

At the end of the 80s of the last century, the Georgian press reported<sup>20</sup> that 100 years anniversary of the prominent sculptor of our country, Nikoloz Kandelaki, was coming. According to the press, jubilee events would be held in connection with this remarkable date. First, a solo exhibition of N. Kandelaki's works would be opened, a catalogue would be published and a ceremonial session

კადრებზე აღბეჭდილია ნ. კანდელაკის სახელოსნო, მოქანდაკის ნამუშევრები, მისი ქალიშვილები; ნელი და ია, სტუმრები; მათემატიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა, ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია და სხვები.

The shots show N. Kandelaki's studio, sculptor's works, his daughters: Neli and Ia, guests: Mathematician, Academician Ilia Vekua, literary critic, Academician Giorgi Jibladze, composer Nunu Gabunia and others.





გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს საქართველოს პრესა იუწყებოდა,<sup>20</sup> რომ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მოქანდაკეს, ნიკოლოზ კანდელაკს 100 წელი უსრულდებოდა. პრესის ცნობით, ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გაიმართებოდა საიუბილეო ღონისძიებები. პირველ რიგში გაიხსნებოდა ნ. კანდელაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, გამოიცემოდა კატალოგი და ჩატარდებოდა საზეიმო სხდომა; საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მოქანდაკის საფლავზე

would be held; A bust of the sculptor would be erected on the tomb of the sculptor in the Didube Pantheon of Georgian Writers and Public Figures, Publishing House “Art” would publish a monograph on N. Kandelaki’s works, the Georgian Cinematography Committee (Sakhkino) would film a documentary about the sculptor. There were still discussions in government circles about establishment of the N. Kandelaki House-Museum as a branch of the Georgian State Museum of Art. The country’s TV and radio broadcasters




კორნელი სანაძე. ნიკოლოზ კანდელაკი, ჩანახატი, ქ. ფ. 22 X18 სმ. კერძო საკუთრება.

Corneli Sanadze. Nicholoz Kandelaki, sketch, paper. Pencil, 22 X18 cm. Private property.



ნიკოლოზ კანდელაკი თავის სახელოსნოში მცხეთის ქუჩაზე, თბილისი, 1960-იანი წლები.

Nikoloz Kandelaki in his studio at Mtskheta Street, Tbilisi, 1960s.



ალიმართებოდა მისი ბუსტი, გამომცემლობა „ხელოვნება“ ნ. კანდელაკის შემოქმედების შესახებ გამოაქვეყნებდა მონოგრაფიას, საქართველოს კინემატოგრაფიის კომიტეტი (სახკინო) მოქანდაკის შესახებ გადაიღებდა დოკუმენტურ ფილმს. სამთავრობო წრეებში ისევე ბჭობდნენ ნ. კანდელაკის სახლ-მუზეუმის, როგორც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის შექმნის თაობაზე. ქვეყნის ტელე-რადიო მაუწყებლობას დავალებული ჰქონდა, რომ ფართოდ გაეშუქებინა მიმდინარე

were instructed to cover these events extensively. The government hoped to fulfil the promises made 20 years ago in public during the celebration of the 80th anniversary of the sculptor. These promises were periodically repeated in the evenings dedicated to the memory of the sculptor at N. Kandelaki workshop.<sup>21</sup>

However, the trials and tribulations of the 1990s left neither time nor money for cultural life in the country. Nikoloz Kandelaki's work has remained



დონისძიებები. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ აღასრულებდა 20 წლის წინანდელ დანაპირებს, რომელმაც საჯაროდ გაიჟღერა მოქანდაკის მე-80 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისას. ამ დანაპირებს იგი პერიოდულად ახმოვანებდა ნ. კანდელაკის სახელოსნოში გამართულ მოქანდაკის სსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებზე.<sup>21</sup>

თუმცა 1990-იანი წლების პერიპეტეიებმა კულტურული ცხოვრებისათვის არც დრო და არც თანხები დაუტოვა ქვეყანას. ნიკოლოზ კანდელაკის ნამოღვაწარი თითქმის ორი ათეული წელი

unnoticed for almost two decades... And this is after the zenith of his dazzling success, popularity, which in the 1950s and 1960s awarded him the name of the meter, maestro, virtuoso.

He evaluated the events ongoing in time and space from the position of his own aesthetic criteria and in this way he desired to realize his own ideals. Therefore, his works naturally reflect the evolution of local culture. N. Kandelaki's art incorporates into one integral whole the forms of human activity which are sufficient for the existence and development of culture.

იაკობ ნიკოლაძის სსოვნის საღამოზე. პრეზიდიუმში მარცხენა მხარეს დგას ნიკოლოზ კანდელაკი, მარჯვნივ ზის თეონა ნიკოლაძე, შალვა ამირანაშვილი და მაია ნიკოლაძე, უკანა რიგში მარცხნივ ზის გურამ ნიკოლაძე, თბილისი, 1965 წ.

On the Evening in memory of Iakob Nikoladze. Nikoloz Kandelaki standing on the left side of the presidium. Teona Nikoladze, Shalva Amiranashvili and Maya Nikoladze sitting right, Guram Nikoladze sitting in the back row on the left, Tbilisi, 1965.

იაკობ ნიკოლაძის სსოვნის საღამოზე. პრეზიდიუმში ცენტრში დგას ნიკოლოზ კანდელაკი, მარცხნივ სხედან შალვა ამირანაშვილი, თეიმურაზ (თემო) ჭყონია, მარჯვნივ გიორგი სესიაშვილი და კონსტანტინე მერაბიშვილი, უკანა რიგში ზის ხელოვნებათმცოდნე ლევან რჩეულიშვილი, მაია ნიკოლაძე, ჟორა ცეცხლაძე. თბილისი, 1965წ.

On the Evening in memory of Iakob Nikoladze. Nikoloz Kandelaki standing in the center of presidium, Shalva Amiranashvili, Teimuraz (Temo) Chkonia sitting on the left, right Giorgi Sesiashvili and Konstantine Merabishvili, sitting in the back row Art critic Levan Rcheulishvili, Maya Nikoladze, Zhora Tsetskhladze. Tbilisi, 1965.


რჩებოდა ყურადღების მიღმა... და ეს იმ თვალისმომჭრელი წარმატების, პოპულარობის ზენიტის შემდეგ, რომელმაც 1950-1960-იან წლებში მას მეტრის, მაესტროს, ვირტუოზის სახელი მოუხვეჭა.

დროსა და სივრცეში მიმდინარე მოვლენებს იგი აფასებდა საკუთარი ესთეტიკური კრიტერიუმების პოზიციიდან და ამ გზით სურდა განეხორციელებინა საკუთარი იდეალები. ამიტომ მისი შემოქმედება ბუნებრივად ასახავს ადგილობრივი კულტურის ევოლუციის პროცესს. ნ. კანდელაკის ხელოვნებამ ერთ განუყოფელ მთლიანობად შეანიჭა ადამიანური მოღვაწეობის ის ფორმები, რომლებიც საკმარისი არიან კულტურის არსებობისა და განვითარებისათვის.



ზურაბ სამხარაძე. ნიკოლოზ კანდელაკი. ქ. ფ. 1950-იანი წლები, კერძო საკუთრება.

Zurab Samkharadze. Nikoloz Kandelaki, paper, pencil, 1950s. Private property.




## შენიშვნები:

- 1 ჩანაწერი: „ნ. კანდელაკის მონათხრობიდან“ დაცულია ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძესთან.
- 2 პორფირე ივანეს ძე კანდელაკი, მღვდელი, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. <http://society.iliauni.edu.ge/persons/article/22845>
- 3 შ. კვასხვაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, ხელოვნება, 1961, გვ. 10.
- 4 შ. კვასხვაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, ხელოვნება, 1961, გვ. 26.
- 5 მ. იზორია, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, 2020, გვ. 239.
- 6 მ. იზორია, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, 2020, გვ. 241.
- 7 შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. დასავლეთ ევროპის ფონდი. შემოსულია ნიკოლოზ კანდელაკისაგან.
- 8 გალაკტიონის დღიური, 1940 წ., გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გალაკტიონ ტაბიძის პირადი არქივი, დ-138.
- 9 გალაკტიონის დღიური, 1957 წ., გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გალაკტიონ ტაბიძის პირადი არქივი, დ-383.
- 10 მ. კობრეიძე, PERSONA GRATA, ნიკოლოზ კანდელაკი, 2019, 8 ივნისი. <https://malkhazkokhreidze.wordpress.com/2019/06/08/>
- 11 მ. იზორია, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, 2020, გვ. 88.
- 12 მ. იზორია, თანამედროვე ქართული ქანდაკება – ნიკოლოზ კანდელაკის მონუმენტური ART-ი – 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ელ. ჟურნალი ARS GEORGICA სერია-B ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება, 2019.
- 13 მ. იზორია, მითითებული ლიტერატურა, იქვე.
- 14 1924 წელს დახვრეტილ თავად-აზნაურთა სია. [reportiori.ge/old/aww.ge/kadrebi/](http://reportiori.ge/old/aww.ge/kadrebi/)
- 15 მ. იზორია, თანამედროვე ქართული ქანდაკება – ნიკოლოზ კანდელაკის მონუმენტური ART-ი – 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ელ. ჟურნალი ARS GEORGICA სერია-B ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება, 2019.
- 16 ГрузТар, Юбилейная выставка Н. Канделаки, газ. Заря Востока, 1969, 27 мая, გვ. 3.
- 17 საქინფორმი, პროფ. ნ. პ. კანდელაკის ნამუშევართა გამოფენა, გამ. ქუთაისი, 1970, 11 ივლისი, გვ. 4.
- 18 მ. კობრეიძე, PERSONA GRATA, ნიკოლოზ კანდელაკი, 2019, 8 ივნისი.
- 19 საქ. სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომის N9 ოქმის ამონაწერი, ხელს აწერენ: თავმჯდომარე უ. ჯაფარიძე, მდივანი ლ. გიორგობიანი.
- 20 საქედესი, ნიკოლოზ კანდელაკის იუბილესათვის, გამ. კომუნისტი, 1990, 20 თებერვალი, გვ. 4. Грузинформ, К юбилею Николая Канделаки, газ. Вечерный Тбилиси, 1990, 22 февраль, გვ. 4.
- 21 თ. საგინაშვილი, მასპინძლობდა მოქანდაკის სახელოსნო, გამ. სოფლის ცხოვრება, 1985, 5 ივლისი, გვ. 3. საქინფორმი, მოგონებათა საღამო, გამ. კომუნისტი, 1985, 5 ივლისი, გვ. 4.


## Notes:

- 1 Record: „From N. Kandelaki's narratives“ stored by Art critic Sh. Kvashvadze.
- 2 Porphire Kandelaki, patronymic Ivane, priest, member of the Literacy Community. <http://society.iliauni.edu.ge/persons/article/22845>
- 3 Sh. Kvashvadze, Nikoloz Kandelaki, Tbilisi, Art, 1961, p. 10.
- 4 Sh. Kvashvadze, Nikoloz Kandelaki, Tbilisi, Art, 1961, p. 26.
- 5 M. Izoria, Nikoloz Kandelaki, Tbilisi, 2020, p. 239.
- 6 M. Izoria, Nikoloz Kandelaki, Tbilisi, 2020, p. 241.
- 7 Sh. Amiranashvili State Museum of Art. Western European Foundation. Entered from Nikoloz Kandelaki.
- 8 Galaktion Diary, 1940, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, Galaktion Tabidze's personal archive, D-138.
- 9 Galaktion Diary, 1957, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, Galaktion Tabidze's personal archive, D-383.
- 10 M. Kokhreidze, PERSONA GRATA, Nikoloz Kandelaki, 2019, June 8. <https://malkhazkokhreidze.wordpress.com/2019/06/08/>
- 11 M. Izoria, Nikoloz Kandelaki, Tbilisi, 2020, p. 88.
- 12 M. Izoria, a modern Georgian sculpture – a monumental ART by Nikoloz Kandelaki – in connection with the 130th anniversary, El-magazine ARS GEORGICA Series-B New and Contemporary Georgian Art, 2019.
- 13 M. Izoria, referenced literature, ibid.
- 14 List of aristocrats shot in 1924. [reportiori.ge/old/aww.ge/kadrebi/](http://reportiori.ge/old/aww.ge/kadrebi/)
- 15 M. Izoria, a modern Georgian sculpture - a monumental ART by Nikoloz Kandelaki – in connection with the 130th anniversary, El-magazine ARS GEORGICA Series-B New and Contemporary Georgian Art, 2019.
- 16 ГрузТар, Юбилейная выставка Н. Канделаки, газ. Заря Востока, 1969, 27 мая, p. 3.
- 17 Saqinform, Exhibition of Prof. N. P. Kandelaki's works, Newspaper Kutaisi, 1970, July 11, p. 4.
- 18 M. Kokhreidze, PERSONA GRATA, Nikoloz Kandelaki, 2019, June 8.
- 19 Excerpt from N9 minutes of the meeting of the Presidium of the Board of the Artists' Union of SSR of Georgia, signed by: Chairman U. Japaridze, Secretary L. Giorgobiani.
- 20 Sakdes, for the anniversary of Nikoloz Kandelaki, Newsp. Communist, 1990, February 20, p. 4. Грузинформ, К юбилею Николая Канделаки, газ. Вечерный Тбилиси, 1990, 22 февраль, p. 4.
- 21 T. Saginashvili, hosted by the sculptor's workshop, Newsp. Soplis Tskhovreba, 1985, July 5, p. 3. Sakinform, Memorial Evening, Newsp. Communist, 1985, July 5, p. 4.



ვალენტინ თოფურიძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ტონირებული თაბაშირი, 81 X 37 X 38 სმ.  
1953 წ. მოქანდაკის სახელოსნო.

Valentin Topuridze, Nikoloz Kandelaki, tinted plaster, 81 X 37 X 38 cm.  
1953, Sculptor's studio.





# მოგონებები

## Memories

### უჩა ჯაფარიძე

*ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი*

შესანიშნავმა ოსტატმა ნიკოლოზ კანდელაკმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული თანამედროვე ქანდაკების ხელოვნების თავისებური გზით წარმართვაში, არა მარტო თავისი მგზნებარე, ტემპერამენტიანი მხატვრული შემოქმედებით, არამედ თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

უძველესი ტრადიციების მქონე ქართული ქანდაკების გამოცოცხლების და აღორძინების საშვილიშვილო საქმეში უდიდესი როლის შემსრულებელს, დიდოსტატ იაკობ ნიკოლაძეს წლების მანძილზე გვერდით ვდგა და კეთილნაყოფიერად ავითარებდა

ქართული პლასტიკური ხელოვნების ცხოველმყოფლობას. რომ ვამბობ თავისებური გზით, მხედველობაში მაქვს ნიკო კანდელაკისთვის დამახასიათებელი სტილის მონუმენტურობა და მხატვრული გამომსახველობის სიმკვეთრე, რაც მან თავისი ნიჭიერი მოწაფეების მხატვრული შემოქმედებით დაამკვიდრა და ქანდაკების გარკვეული მიმართულების სკოლა შექმნა.

ბედნიერი შემთხვევაა თუ კანონზომიერი მოვლენა იყო, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ამ ორი ხელოვან-ოსტატის – იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის აღმზრდელიობითმა

მოღვაწეობამ გაამდიდრა და  
გამრავალფეროვნა ქართული  
ქანდაკების ხელოვნება, რისი შედეგიც  
ნათლად არის წარმოდგენილი  
ჩვენ მოქანდაკეთა ახალი თაობის  
არტისტულ შემართებაში.

დღეს დიდი აღიარება მოიპოვა  
ქართულმა ქანდაკებამ.

თბილისი, 1982, ივნისი.



## აკაკი შანიძე

*ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, საქ.  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი*

კანდელაკი ლათინურ-ბერძნული სიტყვაა და მიღებულია კანდელაპტისაგან, რაც ნიშნავს კანდელის (ე.ი. სანთლის) ამნთებს ეკლესიაში, მნათეს. წინათ ჩვენში მიღებული იყო, რომ თუ ერთი მამის შთამომავლობაში სამი თაობის წარმომადგენლები (მამა, ძე, შვილიშვილი) მღვდლები იყვნენ, შეეძლოთ გვარი გამოეცვალათ და კანდელაკები გამხდარიყვნენ.

საჯავახოს კანდელაკები წარმოშობით ქორიძეები არიან და სამტრედიისანი – ნიკურაძეები. ცნობილმა ლოტბარმა და მუსიკის მცოდნემ ფილიმონ ქორიძემ არ ინება გვარის გამოცვლა და ქორიძედ დარჩა. მისი ახლო ნათესავები კი კანდელაკებად იწოდებიან. მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი კულაშელი იყო. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ძველები ნიკურაძეები იქნებოდნენ.

მ. იზორია, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, 2020, გვ. 245–246.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. სსრკ სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზი. სიტყვით გამოდის აპოლონ ქუთათელაძე, ხელმძღვანელები: ნიკოლოზ კანდელაკი, ლადო გუდიაშვილი, პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან უჩა ჯაფარიძე და ქეთევან მაღალაშვილი, 1958 წ.

Decade of Georgian Art and Literature in Moscow. Exhibition Hall of the USSR Academy of Arts. Apolon Kutateladze giving a speech. Sitting right: Nikoloz Kandelaki, Lado Gudishvili, Ucha Japaridze and Ketevan Maghalashvili sitting at the table of the Presidium, 1958.



ნიკოლოზ კანდელაკი და აკაკი შანიძე მაისის ალღუმზე. 1960-იანი წლები.

Nikoloz Kandelaki and Akaki Shanidze at the May Parade. 1960 s.

## ირაკლი აბაშიძე

*პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი*

ათასი მოგონებიდან ნიკო კანდელაკს გავიხსენებ მხოლოდ მის სახელოსნოში:

სახელოსნოში იგი ისე დგას, როგორც ფეხადგმული ქანდაკება, მისივე, ან რომელიმე დიდი ოსტატის ნიჭიერი ხელით გამოძერწილი, ტანად ზორბა, სწორედ გოლიათური აღნაგობის ძლიერი ვაცი, სქელი, ოქროსფერი თმებით; ინტელიგენტი, შინაგანად, გარეგნულად – პანი, თითქოს ისეთი, როგორიც აგვიწერა აისიდორა დუნკანმა როდენი. დინჯი, ყოველთვის მოღუშული, ღანვებამდე დაშვებული ყდალი წარბებით; ძლიერ ხელებზე ფართო, ათეული



საქართველოს  
აკადემიის  
აკადემიკოსი


წლებით თითქოს თიხასთან ჭიდილში, გაბრტყელებული თითებით. მუდამ მოუწესრიგებლად ზამთარ-ზაფხულ თითქმის ერთნაირად უდარდელად ჩაცმული; სრული ფეხსაცმელები ყოველთვის შეუკრავი. ახალგაზრდობაში ფიცხი და „ყიალის“ მოყვარული, მხრებამდე ფაფარდაყრილი, „ბებერი ლომის“ მსგავსი, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთთან სტუმრობა. ჩვენი საუბარი ხშირად მთავრდებოდა ჩვეულებრივად და როგორც ყოველთვის სასადილოში საგარძელში ტკბილად ჩაეძინებოდა ხოლმე.

ჩვენ მკვიდრი ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვიყავით.

პორტრეტს თიხაში დიდხანს ძერწავდა, დიდხანს ეძებდა ხასიათს. გამოცდილი კაცი მაშინვე შეატყობდა, როდის მიაგნო მას. მაშინ იგი აჩქარდებოდა, ფაციფუცობდა, რომ ნანადირევი ხელიდან არ გასხლტომოდა. ხოლო, როცა გაივაკებდა, მთავარს დაიჭერდა და უკვე დეტალებზე იწყებდა ზრუნვას. მუშაობის დროს ხშირად ჩერდებოდა, ლაპარაკი უყვარდა, საუბარს თითქმის ყოველთვის, ერთი და იგივე ფრაზით იწყებდა: „რა გითხრა იცი?..“ უყვარდა ამბების გახსენება, განსაკუთრებით მისი სტუდენტობის დროინდელი ლენინგრადისა და იქაური მისი მასწავლებლებისა, საუბარი ქართველი მოღვაწეების შესახებ, ბავშვობიდან ნაცნობ რევოლუციონერ ლავრენტი ქართველიშვილზე, მხედართმთავარ

გიორგი ქუთათელაძეზე, შიგადაშიგ იაკობ ნიკოლაძეზე. მრავალი დიდი მოქანდაკისაგან განსხვავებით, რომლებიც სკულპტურულ პორტრეტზე მუშაობისას მხოლოდ რამდენიმე სენსით კმაყოფილდებოდნენ და შემდეგ სამუშაოს გაგრძელებას თავის მონაფეებს მიანდობდნენ ხოლმე, იგი თვითონ ქმნიდა ამ პორტრეტს თავიდან ბოლომდე და მონაფეებს ცალკე აძლევდა შემოქმედებით გასაქანს, თავად შიგადაშიგ ეხმარებოდა, ამონებდა, ასწავლიდა. ამიტომაც მისი სახელოსნო ყოველთვის იყო არა მარტო მოქანდაკის სახელოსნო, არამედ შეგირდთა სასწავლებელიც.

მის სახელოსნოში თაროებზე ნახავდით „იმერელი მაღაროელის“, რომელსაც პირველად მშვენიერი სახელი ჰქონდა „კოლხი“, იოსებ



ი.ბ. სტალინის ბიუსტი, ქვა.  
94 x 57 x 46 სმ. 1940 წ.  
სემ. ხელოვნების სახელმწიფო  
მუზეუმი.

Bust of I.B. Stalin, stone.  
94 x 57 x 46 cm. 1940 GNM.  
Georgian State Museum of Arts.



სერგო ორჯონიკიძის  
პორტრეტი.  
ტონირებული თაბაშირი,  
75 x 79 x 38 სმ. 1967 წ.  
სემ. სურათების ეროვნული  
გალერეა.

Portrait of Sergo Orjonikidze.  
Tinted plaster,  
75 x 79 x 38 cm. 1967.  
GNM. National Gallery  
of Pictures.

სტალინის, სარდალ ტოლბუხინის,  
აკაკი ხორავას, ნატო ვაჩნაძის,  
ქვეყნის გამოჩენილი ადამიანების,  
მისი ოდესღაც ულამაზესი მეუღლის  
პორტრეტებს.

ბუნებამ ნიკო კანდელაკს თავიდან  
თითქოს სულ სხვა გზა, სულ  
სხვა ბიოგრაფია განუსაზღვრა.  
ბიოგრაფია მისი ცხოვრების  
პირველსავე ნახევარში, უფრო  
სწორად, ახალგაზრდობის წლებშივე  
დასრულდა. მთელი თავისი  
ხანგრძლივი სიცოცხლე მან ქართულ  
ქანდაკებას, ქართველ მოქანდაკეთა  
სულ ახალი და ახალი კადრების

აღზრდას შესწირა. იგი ყოველთვის  
ამაყობდა თავისი საქვეყნოდ  
სახელმოხვეჭილი მოწაფეებით.

უყვარდა საუბარი დონატელოზე,  
თვითონაც მგონი ასეთივე  
საშვილიშვილო როლი შეასრულა  
ქართული ქანდაკების განვითარების  
ისტორიაში.

თბილისი, 1982.

## მერაბ ბერძენიშვილი

მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი

ნიკოლოზ კანდელაკის ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი დინებით მთის მდინარეს მიაგავს, რომელიც შეუპოვარია და მრისხანე. იგი გზას იკვლევს ბრძოლით, ქუხს, იტოტება; ბუნებას სიხალისესა და მშვენიერებას მატებს: მინდვრებსა და ველებს თავისი სიუხვით ასაზრდოებს და საბოლოოდ შეერთვის ზღვას ანუ მარადიულობას.

ნიკოლოზ კანდელაკმა ქართულ ქანდაკებაში პირველმა შემოიტანა მრგვალი ქანდაკების ნიშანდობლივი სპეციფიკურობა. ქანდაკება ფრიადრთული ხელოვნებაა. უამრავი პრინციპი არსებობს მისი შინაგანი არსის გასახსნელად.

სწორედ ეს პრინციპები გადმოგვიშალა ნიკოლოზ კანდელაკმა მთელი სისავსით, გაგვაგებინა, შეგვაყვარა სივრცეში ფორმის შეგრძნება და პლასტიკა, ურომლისოდაც ქანდაკება არ არსებობს. იგი ქართული ქანდაკების განვითარებაში ამ ტენდენციის გამტარებელი და ფუძემდებელი გახლდათ. მისი ნამოღვაწარის ჩამოთვლას რომ არ შევუდგეთ, მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით: მაშინ, როდესაც არც ისე კარგად ვიცოდით, რა ხდებოდა თანამედროვე მსოფლიოს მხატვრობასა თუ მუსიკაში. მისი ესთეტიკური სიმაღლის შეფასებაზე

არც გვიფიქრია, მაგრამ როდესაც, შესაძლებლობა მოგვეცა საკუთარი თვალთ გვეხილა მსოფლიოს ხალხთა ცეკვები თუ სიმღერის ხელოვნება, ჩვენს თვალში უნებურად ამალდა ჩვენი ხელოვნების ფასი, მისი უპირატესობა. კეთილშობილი სიდიადე წარმოჩინდა მაშინ, როდესაც სხვას შეედარა და, როცა, სახელოსნოში ჩემს წინაშე აღმოჩინდა „იმერელის“ პორტრეტი, თვალი შევაგლე მას... ვეძებ შესადარს და ბურღელის „აპოლონთან“ შევჩერდი. მთავარი ის კი არ არის, გადმოსცა თუ არა ბურღელმა ბერძნული მითოლოგიის ღმერთის, აპოლონის სახე – მთავარი აქ ქანდაკების ის ურღვევი კანონია, რომელიც თავად იქცევა შინაარსად. ნიკოლოზ კანდელაკის ქანდაკების ძალა მისი მატერიალურობაა. როგორ მიაღწია ყოველივე ამას? შინაგანი ძალით, რომელიც ნიკოლოზ კანდელაკის ნაქანდაკარში პირველადია ყოველთვის. იგი ამას არაჩვეულებრივი უბრალოებით აღწევდა.

ათასი გენერალი გამოუქანდაკებიათ, მაგრამ მხატვრულად ჯერ არცერთ მოქანდაკეს არ გადმოუცია ისეთი სიძლიერითა და სიმაღლით სარდლის სახე, როგორც კანდელაკმა გადმოგვცა ტოლბუხინის პორტრეტში. აქ სახეზე მიფრქვეული ფორმები მოძრავია და მკვრივი. ამ ფორმათა უამრავ რაოდენობას ერთი მთლიანი მოცულობა აქვს, რომელიც სივრცისათვის არის განკუთვნილი.

სარდლის მკერდი გაჭედილია საბჭოთა კავშირის ორდენებითა

მარშალ თეოდორე  
ტოლბუხინის პორტრეტი.  
ტონირებული თაბაშირი,  
96 X 72 X 44 სმ. 1945 წ.  
მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of Marshal F. Tolbukhin.  
Tinted plaster,  
96 X 72 X 44 cm. 1945.  
Sculptor's studio.





და მედლებით. ეს სარდლის სიცოცხლის ისტორიაა და ეს, თითქოს ქანდაკებისთვის უცხო ელემენტები, ისე ოსტატურად აქვს ნაძერწი, რომ ძველ რაინდთა ბექთარივით აღიქმება მთლიანობაში და გმირულ იერს ანიჭებს ბიუსტს. ჭეშმარიტად ღრმა, მგზნებარე განცდით არის შექმნილი ეს შესანიშნავი პორტრეტი. მოქანდაკის შინაგანი ტემპერამენტი კარგად ჩანს აკაკი ხორავას პორტრეტში, რომელშიც იგრძნობა ნებისყოფა, ენერგია: „ნატურას ყველა ხედავს, ყველა ხედავს მის სილამაზეს, მაგრამ როგორ უნდა გამოიძერწოს ეს სილამაზე, რა საშუალებით... ეს არის მთავარი,“ — ამბობდა მცხოვანი ხელოვანი. იდგა სტუდენტთა შორის და ძერწავდა. ყველაზე დიდი მაგალითი მასწავლებელია!

ნიკოლოზ კანდელაკმა ცხოვრების გრძელი გზა განვლო. იგი სავესე იყო წინააღმდეგობებით და ამ წინააღმდეგობებს ახალ-ახალი ქმნილებებით იგერიებდა.

იგი ყველასთვის მარადიული რჩება თავისი შემოქმედებით. ამით გაიმარჯვა მან სიკვდილზე!

მ. ბერძენიშვილი. მარადიული ხელოვნება, გაზ. სამშობლო, 1970, 11 სექტემბერი, N17.

ბატონ ნიკოლოზის შემოქმედება ქართული ქანდაკების შეცნობაცაა, საწყისი და დამკვიდრებაც.

როცა მუშაობას იწყებდა ფაფარაყრილ ლომს ჰგავდა, წითური სახე ცეცხლივით უგიზგიზებდა. ხედავდი, ამ მოზღვავებული ტემპერამენტის კაცში როგორ ღებოდა სიმშვიდე. როცა მისი თითები თიხას შეეხებოდა. ხედავდი, სველ თიხაში როგორ დაისადგურებდა სითბო, ძალა, სიცოცხლე: ხედავდი, როგორ გარდაიქმნებოდა თიხის რბილი მასა პლასტიკურ ფორმად. ხედავდი, იმ უხილავ საიდუმლოებას, რომელსაც შემოქმედი ნათელმოსილად და ხილულად წარმოგვიდგენდა. ამიტომ ვართ მაღლიერნი მისი მოწაფენი.

მ. იბორია, ნიკოლოზ კანდელაკი, თბილისი, 2020, გვ 88.

ქანდაკებას მაშინ აქვს ფასი, როცა სადმე დაიდგმება და ხალხი ნახავს. როცა თბილისის სპორტის სასახლე აშენდა, მაშინ მხატვართა კავშირის თავგდომარის მოადგილე

აკაკი ხორავას ბიუსტი, ბრინჯაო, 2,25 X 72,5 X 43 სმ, 1973წ. არქ. თ. კანდელაკი, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი.

Akaki Khorava bust, bronze, 2,25 X 72,5 X 43 cm. 1973. Arch. T. Kandelaki, Mtatsminda Pantheon of Georgian Writers and Public Figures.





დმიტრი ხახუტაშვილი,  
ნიკოლოზ კანდელაკის  
პორტრეტი, ტ.შ. 108 X 179 სმ.  
1954 წ. კერძო საკუთრება.

Dimitri Khakhutashvili, Portrait  
of Nikoloz Kandelaki, canvas,  
oil. 108 X 179 cm. 1954. Private  
Property.

ვიყავი და რესპუბლიკის სპორტის მესვეურებს შევთავაზეთ, რომ სასახლის ნიშებში საქართველოს ცნობილ ათლეტთა ქანდაკებები დაგვედგა. თვითონ სპორტის სასახლის არქიტექტორმა, ბატონმა ლადო მესხიშვილმაც მოიწონა ეს აზრი. სამწუხაროდ, მაშინ მხარი არ დაგვიჭირეს. მერე ბატონმა ნიკოლოზ კანდელაკმა, გიგლა ფირცხალავამ და სხვებმა გადაწყვიტეს უსასყიდლოდ გადაეცათ ჩვენი სახელგანთქმული სპორტსმენების – ღუმბაძის, გოკიელის, კარტოზიას, ციმაკურიძისა და სხვათა ქანდაკებები. ვფიქრობდით, რომ რაკი ამგვარ ტრადიციას საფუძველი ჩაეყრებოდა, მერე ყველაფერი თავისი კალაპოტით განვითარდებოდა. მაინც არაფერი გამოვიდა.

ინტერვიუ მ. ბერძენიშვილთან: საჭრეთლის დილოსტატი, გაზ. ლელი, 1979, 3 მარტი, N 43.

ბატონმა ნიკოლოზ კანდელაკმა ბატონი აპოლონ ქუთათელაძე, როგორც რექტორი, მწარედ გააკრიტიკა. ამის გამო მათი პირისპირ შეხვედრა კაბინეტში შესდგა. მე ბატონმა აპოლონმა მთხოვა, დავსწრებოდი... ბატონმა აპოლონმა უკრიდან რაღაც საბუთი გამოიღო და მთხოვა, რომ წამეკითხა... ეს გახლდათ განკარგულება ცენტრალური კომიტეტიდან, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი – იმის გამო, რომ ნიკოლოზ კანდელაკი ცეკვას აბუჩად იგდებდა, გათავისუფლებულიყო პედაგოგობიდან, გაეშვათ პენსიაზე.



ბატონმა აპოლონმა ეს საბუთი კვლავ სეიფში შეაგდო და ჩაკეტა. ამ საბუთის შესახებ არავინ არაფერი იცოდა... ბატონი ნიკოლოზი აღელვებული იყო, მაგრამ პასუხი არ გაუცია. იგი ავტომანქანით წავიყვანე სახლში. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. როცა სახლს მივუახლოვდით, თქვა: „– აპოლონს ახასიათებს ვაჟკაცური ქმედებანი.“ ჰოდა თქვენი ჩხუბი როგორც შეიძლება, მოვატრიალებ მანქანას, წამოვიყვან ბატონ აპოლონს, დავსხდეთ სუფთა ჰაერზე „ისინდში“ მეთქი.

მსოფლიო რეკორდსმენის ნინო ღუმბაძის ფიგურა, ტონირებული თაბაშირი, 30 X 59 X 26 სმ. 1952-1953 წ.წ. მოქანდაკის სახელოსნო.

Figure of the world record-holder Nino Dumbadze, tinted plaster, 30 X 59 X 26 cm. 1952-1953. Sculptor's studio.



ნიკოლოზ კანდელაკი,  
1920-იანი წლები.

Nikoloz Kandelaki, 1920s.

– წამოვა? – უკვე თანხმობას ნიშნავდა.

ჩვენ რესტორან „ისინდის“ ხეივანში ვისხედით საოცარი ხალისით, ჩვენს სიცილს საზღვარი არ ჰქონდა. ბატონი კოლია ბრწყინვალე გუნებაზე იყო და კვლავ ცეკვას აგინებდა.

ცეკვაში თითქოს ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ მეგობრობისა და ჭეშმარიტი მხატვრის ფასი.

მ ბერძენიშვილი, მშვენიერება და სიმახინჯე, აპოლონ ქუთათელაძე, თბილისი, 2004, გვ.181-182.

თბილისში დიდილიკობიანი ხალათით და აზიურებით რამდენიმე კაცი დადიოდა. მათ შორის მამაჩემი და მე, იგი ჩემთვის ისეთივე სამოსი იყო, რაც სხვისთვის – ევროპული. ნერვები ეშლებოდა დირექტორს (იმ დროს სამხატვრო აკადემიას სათავეში ედგა მემარცხენე მამია დუდუჩავა – მ. ი.) ჩემს ჩაცმულობას „ნაციონალური შეგნების ჩამორჩენილობად“ მიიჩნევდა. მან კატეგორიულად მიბრძანა, ევროპულად ჩაცმულს მევლო... გარეთ გამომისტურა და ჩემს პედაგოგს ნიკოლოზ კანდელაკს დაავალა მოევლო ჩემთვის.

როცა კანდელაკმა მთხოვა სამოსის გამოცვლა, მე მას გავახსენე: პეტერბურგში ერთი წითური კაცი წითელი ჩოხით და ხანჯლით რომ დადიოდა, ვინ იყო მეთქი! ის კაცი ნიკოლოზ კანდელაკი იყო. სიცილი აუტყდა და მითხრა – იქ სხვა დირექტორი იყო!

მ.ბერძენიშვილი, ამბები მედვას ქვეყნიდან, აზიურები, თბილისი, 2020, გვ.16.

## ელგუჯა ავაშუკელი

*მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი*

ძნელი წარმოსადგენია როგორ, ან საით წარიმართებოდა თანამედროვე ქართული მონუმენტური ქანდაკება, მის სათავეებთან რომ არ აღმოჩენილიყო მხატვარი, რომელმაც მომავალ თაობებს მხატვრულ ფორმასთან უშედავათო დამოკიდებულების შეუცვლელი მაგალითი მისცა.

მაშინ, როდესაც ზეიმობდა მხატვრული აზროვნების სტერეოტიპი, როცა ქანდაკების ესთეტიკური ღირებულება ადამიანის სხეულის პროპორციების და ანატომიის სიზუსტით განისაზღვრებოდა, მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკმა თავისი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობით ქართულ ქანდაკებაში დაამკვიდრა ფორმა, რომლის მხატვრული სპეციფიკური თვისებები: სისავსე, სიღრმე, სიმკვრივე, წონა და მთლიანობა ახალი ეროვნული მონუმენტური ქანდაკების ფუძეთა ფუძედ იქცა. ალბათ, მომავალი კიდევ უფრო ჭეროვნად შეაფასებს ნიკოლოზ კანდელაკის დამსახურებას, მის ღვაწლს, ქართული ეროვნული ქანდაკების განვითარებაში, კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს მისთვის, როგორც ჭეშმარიტი მხატვრისათვის დამახასიათებელ განუმეორებელ თვითმყოფადობას

რა გვხიბლავდა ჩვენ, მის მონაფეებს ნიკოლოზ კანდელაკის შემოქმედებაში? რა იყო მიზეზი მისი სახელოსნოსაკენ ახალგაზრდობის საყოველთაო ლტოლვისა? რაში გამოიხატებოდა ის ანდამატური ძალა, რომლითაც იზიდავდა ნიკოლოზ კანდელაკი სტუდენტ-ახალგაზრდობას? რატომ იწვევდა მისი პლასტიკური ხედვა, მის თანამედროვე, საყოველთაოდ ცნობილ ზოგიერთ მოქანდაკეში დაგას და საწინააღმდეგო მოსაზრებას?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ იმ პერიოდში, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა ნიკოლოზ კანდელაკს, ირგვლივ გამეფებული იყო ვიწროდ გაგებული სოცრეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის პლასტიკური ფორმა – სუროგატი, რომელიც საფუძველშივე უარყოფდა ქანდაკებაში ფორმას, როგორც ძირითად მხატვრულ ფენომენს და ყალბად, ცალმხრივად გაგებული იდეურობის ინერცია თავის გზაზე შლიდა და ავიწროებდა თვითმყოფადობას, საკუთარ „მეს“ და რაც მთავარია, ხელოვნების, შემოქმედების ალფა და ომეგას – მხატვრულ ფორმას. მართალია, ამ პერიოდში მოღვაწეობდა ბევრი ცნობილი, ნიჭიერი ხელოვანი, მაგრამ თუ გადავხედავთ ისტორიას, ეს იყო ნიჭიერების, თვითდამკვიდრების, თვითგამოხატვის წინააღმდეგობის და ბრძოლის პერიოდი.

აკადემიაში სწავლის დროს ახალგაზრდობის ერთი ჭკუფისათვის



დილა.  
თაბაშირი, 34 X 18 X 23 სმ.  
1925 წ. მოქანდაკის სახელოსნო.

Morning.  
Plaster, 34 X 18 X 23 cm.  
1925. Sculptor's studio.

შინაგან მოთხოვნილებად იქცა წინააღმდეგობათა გადალახვის, შეუცნობელის სიმაღლეებისაკენ ლტოლვის, მხატვრული პლასტიკური ფორმის შინაგანი საზღვრებისაკენ, მისი გენეტიკური რაობის შეცნობისაკენ ლტოლვა, რომლის შესანიშნავ მაგალითს პროფესორი ნიკოლოზ კანდელაკი გვაძლევდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნიშან-თვისება, მართალია, ბუნებისმიერ საწყისს წარმოადგენდა ნ. კანდელაკთან, მაგრამ მის მოწაფეებს არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. ყოველივე ეს მაინც გარკვეულ შინაგან ლოგიკას და კანონზომიერებებს ემორჩილებოდა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნ. კანდელაკმა და მისმა მოწაფეებმა ქართულ ქანდაკებაში გააკეთეს ის, რაც თავის დროზე ბარბიზონელებმა, იმპრესიონისტებმა ფრანგულ ფერწერაში (ვგულისხმობთ არა ფორმის თვისობრივ ნათესაობას, არამედ ისტორიულ მნიშვნელობას)

ამდენად, ნიკოლოზ კანდელაკის როლი, დამსახურება თანამედროვე ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში და გზის დადგენაში განუზომლად დიდია. მისი მოწაფეები ხშირად ვიგონებთ სახელოსნოში გატარებულ დროს, წმინდა შემოქმედებით თუ ადამიანურ ურთიერთობას და მის კოლორიტულ ბუნებას. დიდი ტალანტი, იუმორი, ცხოვრებისეული სიმართლე ყოველთვის დიდ მოკრძალებას, პატივისცემას იმსახურებდა და იმსახურებს დღესაც, სადაც კი შევხებით მის პიროვნებას ჩვენს

მეხსიერებაში, წარმოდგენაში თუ ქვათა და ბრინჯაოდ ქცეულ რეალობაში.

ე. ამაშუკელი, ჭეშმარიტი მხატვარი, გაზ. ლიტერატურული საქართველო, თბილისი, 1969 30 მაისი გვ. 4.



## ფურა ლეჟავა

გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი

ჩემი თაობის მხატვრებს ბედნიერება ხვდათ წილად ეცხოვრათ ქართული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელთა გვერდით.

მწერალ აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი. თაბაშირი, 54 X 52 X 24 სმ. 1969 წ. მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the writer Academician Konstantine Gamsakhurdia. Plaster, 54 X 52 X 24 cm. 1969. Sculptor's studio.

ნიკოლოზ კანდელაკი,  
ქობულეთი, 1960-იანი წლების  
დასაწყისი.

Nikoloz Kandelaki, Kobuleti, early  
1960s.


ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი  
თავისი განუმეორებელი გარეგნობით  
და ხასიათით გახლდათ დიდი  
ქართველი მოქანდაკე ნიკოლოზ  
კანდელაკი. როდესაც ასეთი  
ადამიანების გვერდით ცხოვრობ,  
ყოველდღიურ ურთიერთობაში ხარ  
მათთან, ეს ჩვეულებრივ ამბად არის  
ქცეული და ვერ წარმოგიდგენია, რომ  
გაივლის არც ისე დიდი დრო და ეს  
ურთიერთობა გადაიქცევა დაუვიწყარ  
მოგონებად.

ნიკოლოზ კანდელაკი თავისი  
წარმოსადეგი აღნაგობით, აღსავსე  
იუმორით, პირდაპირი, როგორც  
მახვილი – თავისი საქმის დიდოსტატი  
გახლდათ.

არ მახსოვს, რომელი წელი  
იყო, მუზეუმში ვათვალიერებდი  
თანამედროვე ხელოვნების  
განყოფილებას, რომელსაც  
ნ.კანდელაკის მიერ შესრულებული  
განუმეორებელი პორტრეტები  
ამშვენებდა – „იმერელი“, „აკაკი  
ხორავა“, „მარშალი ტოლბუხინი“  
და სხვა. ედმონდ კალანდაძემ ვერ  
დაიოკა ემოცია, აღტაცებულმა  
გაშალა ხელები და წამოიძახა:  
„ლუვრში რომელი ნამუშევრის  
გვერდითაც გნებავთ დადგით და  
დამსახურებულად დაიმკვიდრებს  
ღირსეულ ადგილს“.

მართლაც, რომ საოცარი ნიჭი და  
ოსტატობა ახასიათებს ამ დიდი  
ხელოვანის შემოქმედებას.

მცხეთის ქუჩაზე N14 სახლში  
ვისაც შეგივლიათ, ნ.კანდელაკის



სახელოსნოში ნახავდით თითქმის  
ყველა ნამუშევარს უადგილობის გამო  
მიჭრით მიწყობილს – მოქანდაკის  
უკვდავების სიმბოლოს... ალბათ  
ისინი განსაკუთრებულ მოვლას და  
დაბინავებას მოითხოვენ.

თბილისი, 1985, ოქტომბერი.

## გიორგი შხვაცაბაია

*მოქანდაკე, საქართველოს სახალხო  
მხატვარი*

ცნობილია, რომ 1961 წელს საბჭოთა  
კავშირის მთავრობის თავმჯდომარემ  
ნიკიტა ხრუშჩოვმა პოლიტბიუროს  
ყველა წევრი დაითხოვა. ამიტომ,  
როდესაც საპირველმართის

აღლუმის დრო დადგა, მოსკოვიდან თბილისში გადმოიგზავნა მთავრობის შემადგენლობის ფოტოები. სამხატვრო კომბინატს ამ ფოტოების მიხედვით მთავრობის ახალი წევრების პორტრეტები უნდა დაეხატა და მათთვის ტრანსპარანტის სახე მიეცა. როგორც წესი, აღლუმზე ტრანსპარანტი მალა აწეული მოჰქონდათ. იგი ვეებერთელა და მძიმე იყო, რის გამოც სურათს სამ ჯოხზე ამაგრებდნენ და სამ კაცს ეკავა. ამით იგი სატარებლად მოსახერხებელი ხდებოდა.

სამთავრობო დაკვეთა სწრაფად უნდა შესრულებულიყო, რათა პირველი მაისის აღლუმზე გატანა მოესწროთ. სამხატვრო კომბინატში, რომლის მთავარი მხატვარი ზურაბ წერეთელი იყო, ასეთ დაკვეთებზე ეროვნებით სომეხი ახალგაზრდები მუშაობდნენ. ისინი მშრალი ფუნჯით ხატავდნენ, რადგან ეს ტექნიკა დიდი სურათების სწრაფად კეთების საშუალებას იძლეოდა. მე და ჩემი კურსელები, ასევე მოქანდაკეები, არჩილ თოფურიძე და მერაბ კახიშვილი, მათ ვეხმარებოდით. ამ დროს თავში მოგვივიდა ეშმაკური აზრი, რომ ნიკოლოზ კანდელაკის სურათი გაგვეტანა აღლუმზე. ვიმედოვნებდით, რომ ხალხმა ჯერ არ იცოდა, ვინ იყვნენ და როგორ გამოიყურებოდნენ მთავრობის ახალი წევრები. ამიტომ ვფიქრობდით, რომ ეშმაკობა გაგვივიდოდა. ასეც მოვიქეციით. მერაბ კახიშვილმა დახატა ნიკოლოზ კანდელაკის უშველვებელი პორტრეტი, რომელიც ჯოხებზე დავამაგრეთ და კომბინატიდან წამოვიღეთ.



აღლუმის დღეს სტუდენტები გმირთა მოედანზე, „თერთმეტსართულიანთან“ უნდა შეეკრებილიყავით და იქიდან წავსულიყავით ლენინის მოედნისაკენ (ამჟამად თავისუფლების სახელობის – მ. ი.), სადაც მთავრობის ტრიბუნა იდგა. პირველ მაისს ნიკოლოზ კანდელაკის ტრანსპარანტი აღრევე ჩამოვიტანეთ, სანამ შეეგროვდებოდით. დათქმულ დროს სურათი მალა ავნიეთ და ნელ-ნელა ავუყვით ლენინის ქუჩას (ამჟამად კოსტავას სახელობის – მ. ი.), თანაც გზაში ხმამაღლა ვყვიროდით, რომ კალინინის რაიონის (ახლა

მერაბ კახიშვილი, მეგობრული შარჟი - საპირველმაისო დემონსტრაციაზე, თაბახის ფურცელი, ფ. 1963 წ. კერძო საკუთრება.

Merab Kakhishvili, Friendly Charge - at the First May Demonstration, sheet of paper, pencil, 1963. Private property.



მთანმინდის რ-ნი-მ.ი.) მშრომელები და მხატვრები ვიყავით. მარცხნივ მე ვიდექი, მარჯვნივ არჩილ თოფურიძეს ეჭირა სურათი, ხოლო უკან მერაბ კახიშვილი მოგვეყვებოდა. ის-ის იყო მოედანზე უნდა გავსულიყავით ტრანსპარანტიტ ხელში, რომ რაღაც მოძრაობა შევნიშნე. დავაკვირდი და დავინახე შავებში გამონწყობილი „ტიპები“, რომლებმაც ფილმის, „რომაული არდადეგების“ პერსონაჟები მომაგონა. ისინი აშკარად გვითვალთვალებდნენ. მამაკაცებს ძალიან მოღერი შავი კრების კოსტიუმები ეცვათ და ხელში ფოტოები ეჭირათ, ალბათ, პოლიტბიუროს ახალი წევრების და ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტს აკვირდებოდნენ. ჩანდა, რომ ვერ ამოიცნეს, ვინ იყო. მიგხვდი, რომ ჩვენი ოინი გამოაშკარავდა. არჩილს ვანიშნე, რომ ხელი გაეშვა ტრანსპარანტისთვის. შემდეგ ნელ-ნელა მოვშორდით სურათს, იქვე დავტოვეთ და უკანმოუხედავად ხალხში გავვრჩეთ. შეიძლება ითქვას, რომ დიდ უსიამოვნებას გადავრჩით. თუმცა შიშმა მალე გადაგვიარა და შემდეგ მხიარულად ვიხსენებდით ამ ისტორიას.

ინტერვიუ გ.შხვაცაბაიასთან, 2021, ოქტომბერი.

გიგლა ფირცხალავა,  
მეგობრული შარუი, გაზ.  
კომუნისტი, 1969 წ. 25 მაისი.

Gigla Pirtskhalava, Friendly  
Charge, Nikoloz Kandelaki,  
Newspaper Communisti, 25 May  
1969.

## გიგლა ფირცხალავა

მოქანდაკე, კარიკატურისტი,  
საქართველოს სახალხო მხატვარი


ნიკო კანდელაკი ის განუმეორებელი ფიგურაა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სახვითი ხელოვნების, კერძოდ, პორტრეტული და მონუმენტური ქანდაკების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მან თავისი უანგარო ნიჭით, დაუღალავი შრომითა და პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულით ერთ-ერთი მთავარი



როლი ითამაშა ქართული თანამედროვე ქანდაკების აღორძინებაში.

ფორმის, პლასტიკისა და ფაქტურის ეს დიდი მესაიდუმლე სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ახალგაზრდული ენერგიით მუშაობდა.



გიგლა ფირცხალავა,  
მეგობრული შარჟი, მუყაო,  
ფერადი ფ. 59 X 65 სმ. 1969.  
მოქანდაკის სახელოსნო.

Gigla Pirtskhalava, Friendly  
Charge, cardboard, colored  
pencil, 59 X 65 cm. 1969.  
Sculptor's studio.

როცა ნიკოლოზ კანდელაკის კოლორიტულ ფიგურას შევცქერით უნებლიედ მაგონდება ძველი ბერძნული კულტურის ერთი მეტად საინტერესო ნაწარმოები. „ნილოსი“ ასე ეწოდება ანტიკური ხელოვნების ამ უნიკალურ ქანდაკებას, რომელიც ამჟამად ვატიკანის მუზეუმში ინახება. ელინური კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი ალეგორიული გამოხატულებაა იმ წყალუხვი მდინარისა, რომლის ადიდებასთან დაკავშირებული იყო ეგვიპტის მწირი ნიადაგის განოყიერება და მოსავლის

სიუხვე. „ნილოსი“ გამოხატულია ცალმხრივ წამოწოლილი მამაკაცის ძლიერი ფიგურით, რომელიც მარცხენა ხელის იდაყვს ეყრდნობა და გარშემორტყმულია 16 მცირე ზომის ფიგურებით. ეს ალეგორიული ფიგურები პირობითი გამოხატულებაა იმ 16 ფუტის სიმაღლისა, რაც სჭირდებოდა ადიდებულ ნილოსს მისი თვალუწვდენელი მინდვრების მოსარწყავად.

აი, სწორედ ამ ანტიკურ ქანდაკებას მაგონებს



გიგლა ფირცხალავა,  
მეგობრული შარჟი, ჟურნ.  
ნიანგი, 1969 N11(1309) ივნისი.

Gigla Pirtskhalava, Friendly  
Charge, Journal Niangi, June  
1969 N11 (1309).

ნიკოლოზ კანდელაკი თავისი  
შემოქმედებითი ნაყოფიერებითა და  
მრავალრიცხოვანი მონაფეებით,  
რომლებიც გარს ეხვევიან მას და  
მუდამ იქნებიან მასთან ახლოს,  
როგორც ერთგული და მოსიყვარულე  
შეგირდები.


მე. როგორც მოქანდაკე მუდამ  
ვამაყობ იმით, რომ ვარ ნიკოლოზ  
კანდელაკის მონაფე.

თბილისი, 1982.

გიგლა ფირცხალავა, მეგობრული  
შარჟი, მუყაო, ფ. ტუში,  
55 X 72 სმ. 1986 წ. გ. ლეონიძის  
სახ. სახელმწიფო ლიტერატურის  
მუზეუმი.

Gigla Pirtskhalava, Friendly Charge,  
cardboard, mascara,  
55 X 72 cm. 1986. G. Leonidze State  
Museum of Literature.





კორნელი სანაძე, ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტი, ტ.ბ. 81 X 63 სმ. 1956 წ. კერძო საკუთრება.

Corneli Sanadze, Portrait of Nikoloz Kandelaki, canvas, oil, 81 X 63 cm. 1956. Private property.

## ბიორგი ზიბლაძე

ლიტერატურათმცოდნე,  
საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

როცა ჩვენი თანამედროვე უხუცესი მოქანდაკის ნიკო კანდელაკის სახელოსნოში შევდიოდით, ერთმანეთზე მიჯრილ სკულპტურულ გამოსახულებათა ქვემოთ, თაროს ძელზე ვაჟა ფშაველას და ბეთხოვენის მიცვალებული სახეების ნიღბები იყო ჩამოკიდებული. ხშირად ჩვენ მწარე შეცდომა მოგვდის, როცა გარეგნული ნიშნებით გვსურს ჩაწვდეთ ტალანტის ხასიათს, თუმცა სასიხარულო ნუთებიც არის, როდესაც გარეგნობა

მთლიანად ამართლებს ადამიანის შინაგან ღირსებას.

ასეთ ბედნიერ შემთხვევას გაგრძნობინებს მკვრივად შეკრული მაღალი ტანის, ფიზიკურად ძლიერი სახის თმაგაჩეჩილი კაცი, რომელიც თავანული ძერწავს თიხაში რომელიდაც გამოსახულებას და აპოლონის მადლს ემსახურება. ეს კაცია სახალხო მხატვარი ნიკო კანდელაკი, უკვე ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ შემოქმედებითი ენერგიით სავსე, როგორც ახალგაზრდა ხელოვანი. უყურებ მისი შემოქმედებითი ცხოვრების მხატვრულ შედეგებს და გრძნობთ თითოეულ სკულპტურულ

გამოსახულებათა ამ უნესრიგო ტყეში ოსტატობით დამშვენებულ ხელოვანებას, რომელიც თითოეული ფიგურიდან ფართოდ გახელილი თვალეებით გვიცქერის.

როდენის თქმით: „ქანდაკება – ეს მოთმინებაა“.

სწორედ ეს თვისება აქვს ნიკო კანდელაკს – შინაგანი მღელვარება და გარეგნული დიდი სიმშვიდე, რითაც იგი ჭიუტად ებრძვის ქანდაკების მასალას, რომ დასახული შემოქმედებითი ამოცანა აბსოლუტური უნაკლობით გადაწყვიტოს. მისთვის ქანდაკება, როდენის არ იყოს, არაჩვეულებრივი, ნამდვილად დიდი ოსტატის შემოქმედებითი მოთმინებაა.

მან კარგად იცის, რომ თიხა, ან მარმარილო ადამიანის ხელს ძნელად ემორჩილება, მაგრამ დამუშავების შემდეგ ორივე უდიდეს პლასტიკას განასახიერებს. მისივე ქანდაკებები ამ დებულების

მარტიროს სარიანი, მოქანდაკე  
ნ. კანდელაკი, ჩანახატები, ქ. ფ.  
1953 წ. კერძო საკუთრება.

Martiros Saryan, sculptor  
N. Kandelaki, sketches, paper,  
pencil, 1953. Private property.



დადასტურებაა. უყურებთ ამ პლასტიკურ სახეებს და ფიქრობთ: კომპოზიცია და ისტორიული ფიგურა ეტყობა მათ ავტორს სულ არ იტაცებს. იგი პორტრეტისტია, ეძებს ტიპებს, ადამიანური სახეების მრავალფეროვნებას, როგორც შემოქმედებითი იმპულსის ადეკვატურ მასალას. მას კარგად ესმის, რომ ტიპი, ხასიათი, ადამიანის სახე მთელი სამყაროა, მიკროკოსმოსია, რომელშიც ცხოვრება თავსდება, საიდანაც, როგორც კალეიდოსკოპიდან, შეიძლება მიკროკოსმოსის ბრჭყვიალება დაინახო. ამიტომ მის სახელოსნოში ბიუსტების ტყეა, ხოლო ფიგურები, მთელი სხეულები მცირე რაოდენობითაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნიკო კანდელაკი

პორტრეტში ყოველთვის ეძებდა რეალისტური გამოსახვის ახალ, ყველაზე უფრო საიმედო ხერხებს. კლასიკურ აკადემიურ სტილს თავიდანვე გაურბოდა. შეიძლება იმასაც ფიქრობდა, რომ ანტიკური და რენესანსული ხელოვნების შემდეგ ამ სტილისათვის აღარ არსებობდა ოლიმპიური მწვერვალი. იგი უკვე აღებული იყო გენიოსების მიერ.

მაგრამ ნიკო კანდელაკი აკადემიურ სტილში არაფერს აკეთებდა. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ შეუდარებლად უფრო მეტი იყო შექმნილი და მიღწეული, ვიდრე იმ გზაზე, რომელსაც თავად მიჰყვებოდა.



ამიტომ უმჯობესად მიიჩნევდა უცნობი, ახალი ეძებნა რეალიზმში, ვიდრე მისი ერთი რომელიმე მაღლობის, თუნდაც ისე სახელგანთქმულის, როგორც აკადემიზმია, ნაცნობი ბილიკებით ველო. ეს არაა მოდისა და სემონურობის საკითხი. ეს წმინდა შემოქმედებითი პრობლემაა, რომელმაც ნიკო კანდელაკის სახელოსნოდან აკადემიურ სტილში გადწყვეტილი ქანდაკებები განდევნა, ხოლო ყველაზე საპატიო ადგილი რეალისტური შთაგონებით გაცოცხლებულ შემოქმედებით ნიმუშებს დაუთმო. მათში ჩააქსოვა ხელოვანმა თავისი ტალანტის ყველა განზომილება, განასახიერა ის სითბო და ცეცხლი, რაც მას, როგორც ხელოვანს, სიცოცხლის ამრს აძლევდა.

სწორედ ამ შემოქმედებითი მაჯისცემით გამოირჩევა ნიკო კანდელაკის მხატვრული ნიმუშები. თითქმის ყველა, ბიუსტია იგი თუ ფიგურა, ჩვენი თანამედროვე ადამიანების სახეებია. ესაა მოქანდაკის ძირითადი და უმთავრესი თემაც. სახელოვანი თუ რიგითი ადამიანი, თანამედროვე კაცის სახე მისთვის ისევე მიმზიდველია, როგორც მარინისტის ყალმისთვის ზღვა და მისი უსაზღვრო ლაჟვარდი. შალვა დადიანი, ნატო ვაჩნაძე, ბაქარია ფალიაშვილი, აკაკი ხორავა, ალექსანდრა თოიძე, აკაკი კვანტალიანი, ჰუგო ჰუბერტი და კიდევ მრავალი სხვა, თანამედროვე კაცის ეს ნაცნობი სახეები ისეა გამოკვეთილი, რომ ვუყურებთ, ჩვენივე საკუთარი

მხატვარ ნესტან ლეონიძის პორტრეტი. ტონირებული თაბაშირი, 74 X 49 X 25 სმ. 1945 წ. მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the artist Nestan Leonidze. Tinted plaster, 74 X 49 X 25 cm. 1945. Sculptor's studio.



მელვინე გიორგი მაღალაშვილის  
პორტრეტი, თაბაშირი,  
72 X 57 X 24 სმ. 1955 წ.  
მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the winemaker  
Giorgi Maghalashvili,  
plaster, 72 X 57 X 24 cm. 1955.  
Sculptor's studio.


გუშინდელი დღე გვახსენდება.  
ხელოვნება ხომ თანამედროვეობის  
პრიზმაში წარსულის გახსენებაცაა  
და ბიუსტების ეს ტყე თითოეულ ამ  
ადამიანთან დაკავშირებულ წარსულს  
უნებლიეთ მოგაგონებთ.

აიღეთ ბიუსტი ნატო ვაჩნაძე,  
რომლის ულამაზესი სახე სევდიანად  
გვიცქერის. როგორც ცნობილია,  
ადამიანური განწყობილების ორი

უკიდურესობაა მწუხარება და  
მხიარულება. ნატო ვაჩნაძე, როგორც  
ადამიანი, ორივე შემთხვევაში  
მიმზიდველი იყო, ერთიც ამკობდა  
და მეორეც ამშვენებდა. მაგრამ მისი  
ნამდვილი სტიქია სევდა იყო, თუმცა  
ღიმილი უფრო უხდებოდა. შეიძლება  
ამიტომ მისცა მოქანდაკემ იმ სახეს  
მინორი... ნატო ვაჩნაძემ უმთავრესად  
ტანჯულ ადამიანთა, ბედგანწირულთა,  
კეთილშობილ, ლამაზ, მაგრამ  
ცხოვრებაში ქარიშხალს შეჭახებულ  
ქალთა სახეები გამოჰკვეთა. ამით  
უფრო დარჩა ჩვენს მეხსიერებაში  
და მოქანდაკესაც ეს ინტუიტიური  
გრძნობა უკარნახებდა მინორული  
გამომეტყველება აერჩია...

თუმცა ბედიც უცნაურია: ნატო  
ვაჩნაძის პირადი ცხოვრების  
აღსასრული ისე გადაეჭლო  
შემოქმედებით გაღერებაში  
წარმოდგენილ მის ორეულებს,  
როგორც აქ, ამ სევდიანი სახის  
ბიუსტში, მწუხარება ამჟღავნებს  
მომავალ საშინელ ტრაგედიას. ნატო  
ვაჩნაძე მის მიერვე განსახიერებული  
ლამაზი, სათნო, კეთილშობილი  
და ნაზი გმირებივით ქარიშხალს  
შეეჭახა. მაგრამ, თუ მისი ორეულები  
ცხოვრების მღვრიე ტალღებში  
იღუპებოდნენ, ნატო ბუნების სტიქიამ  
ჩაიკრა, როგორც უსამღვროების  
საკუთრება.

და ახლა, როცა მის სევდით,  
სინაზით, სათნოებითა და სილამაზით  
დამშვენებულ სახეს უცქერით, ნიკო  
კანდელაკის გრძნეული ხელით რომ  
არის გამოკვეთილი, თქვენ ერთბაშად



ვასილ შუხაევი, ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტი, ტ.ზ. 1955 წ.

Vasil Shukhaev, portrait of Nikoloz Kandelaki, canvas, oil, 1955.

იგონებთ ყოველივე ამას, გონებაში ერთმანეთს ადარებთ წარსულსა და აწმყოს, გრძნობთ, რომ ხელოვნება დიდი სიხარულის მომნიჭებელია...

ეს სიცოცხლე, სიხარული, ცხოვრებისეული ძალა ჩანს ნიკო კანდელაკის მშვენიერ ქმნილებაში „ნინო ღუმბაძე“. რა უფრო ძლიერია მონუმენტური სტილით შესრულებულ ამ ქანდაკებაში – ძალა, თუ სილამაზე? ნებისყოფა თუ დინამიურობა? სიმამაცე თუ სიდიადე?... ნინო ღუმბაძის სკულპტურულ გამოსახულებაში მოქანდაკემ მიაღწია საოცარ

პორტრეტულ მსგავსებას. სახელოვანი სპორტსმენის ქანდაკებაში გამოსჭვივის ვაჟკაცური შემართებაც და ქალური არსებაც. ნატურაში ისე ძლიერად იყო ყველაფერი ეს წარმოდგენილი, რომ ხელოვანს სკიცირების დროს შეეძლო მასზე არც ეფიქრა და პირდაპირ „ასლგადაღების“ გზას დადგომოდა, მაგრამ ის მაშინ დაჰკარგავდა შემოქმედებას, ხოლო მისი ფიგურა უხემ გამოსახულებას დაემსგავსებოდა. სინამდვილის მშრალ კოპირებას არასოდეს დიდი ხელოვნება არ შეუქმნია, მაგრამ სინამდვილის იმგვარი წარმოსახვის



უცნობი მხატვარი, ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტი, აკვარელი, 21 X 18 სმ. 1964 20 ოქტომბერი. მოქანდაკის სახელოსნო


Unknown artist, Portrait of Nicholoz Kandelaki, watercolor, 21 X 18 cm. 20 October 1964. Sculptor's studio.



მიღწევას, როგორც იგი არის, ყოველთვის ჭეშმარიტი ოსტატობა რქმევია. ამ ქანდაკების მნახველს ისეთი გრძნობა ეუფლება, გგონია, სადაცაა ის ბადრო, რომელიც სახელოვან სპორტსმენ ქალს მოქნეულ მარჯვენა ხელში უჭირავს, მსოფლიო რეკორდსმენის ძალით სიგრცეში შეიჭრება, ხოლო ეს ვეება, ახოვანი ტანი, ანტიკური სილამაზის ჰარმონიულობით რომ გვხიბლავს, წრეში ციბრუტივით დატრიალდება.

აქტიორს თუ მეცნიერს, რიგით მშრომელს თუ მხატვრული სიტყვის ოსტატს – ნიკო კანდელაკი

ყოველ მათგანში მისი ხასიათის ნიუანსებს ეძებს. შემდეგ მათ აერთებს, რომ მიიღოს ის, რასაც არისტოტელე „ეტოსს,“ ხოლო თეოფრასტე „ხარასოს“ უწოდებდა. სწორედ ეს „ხარასო“ გამოარჩევს სახელგანთქმული მწერლის შალვა დადიანის სკულპტურულ პორტრეტს, რომლისთვისაც მოქანდაკეს ნატურალურზე ოდნავ მეტი ზომა მიუცია. მეტი წილი ბიუსტი დამთავრებული ნაწარმოებია, მაგრამ არის დაუმთავრებლებიც. მათ შორის კვლავ გალაკტიონ ტაბიძის სახე გვიცქერის, როგორსაც ვიცნობდით ბოლო წლებში, მოშვებული წვერით



საქართველოს სახალხო პოეტის  
გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი,  
ტონირებული თაბაშირი, 54,5 X  
62,5 X 33,5 სმ. 1957 წ. მოქანდაკის  
სახელოსნო.

Portrait of the People's Poet of  
Georgia Galaktion Tabidze, tinted  
plaster, 54,5 X 62,5 X 33,5 cm. 1957.  
Sculptor's studio.

და ფიზიკურად დამსხვრეული  
კაცის იერით. შეიძლება ბიუსტის  
დაუმთავრებლობა კიდევ ერთი  
შტრიხია მისი სახის გადმოსაცემად.

მეტი ალბათ არც იყო საჭირო,  
რომელი კუთხიდანაც არ უნდა  
შეხედოთ, ეს უკვე გალაკტიონ ტაბიძეა  
მიმწუხრის ჟამს.

ნიკო კანდელაკი იმ ოსტატთა  
ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც  
ყალმის ერთი მოსმით ფიგურის  
აღნაგობას შინაგანად გამოიჭერს  
ხოლმე. მსგავსებას ის აღწევს  
ერთბაშად, შემდეგ კი დეტალების  
დამუშავებაზე გადადის. თავისთავად  
სახის პორტრეტირება ნიშნავს  
მისი არსებითი ნიშნების იმგვარ

ხაზგასმას, როცა შეუმჩნეველი –  
სავსებით ხილული ხდება, ის კი, რაც  
ყველასათვის აშკარაა, არსებობას  
ინარჩუნებს... მაგრამ შეიძლება  
სწორედ ამ პრინციპმა დაარღვიოს  
სახის მთლიანობა, თუ ოსტატურად  
არ განხორციელდა ეს თეორიული  
პოსტულატი. ალფეორიულად რომ  
ითქვას, ხელოვნებაში ყოველთვის  
ერთი წერტილი და ერთი ხაზი იყო  
გადამწყვეტი. ვინც ამ წერტილის ან  
ამ ხაზის პოვნა იცის, ის უეჭველად  
ოსტატია. ვინც მათ ვერ გრძობს – ის  
საერთოდ შორს დგას ჭეშმარიტი  
ხელოვნებიდან, თუნდაც ათასობით  
„ნამუშევარი“ ჰქონდეს. ეს წერტილი  
და ეს ხაზია დაჭერილი ბიუსტში  
ნიკო მუსხელიშვილი, რომელიც



ნიკოლოზ კანდელაკი და უჩა ჯაფარიძე საპატიო ყარაულში გალაკტიონ ტაბიძის დაკრძალვაზე, 1959 წ., ლიტერატურის მუზეუმის ფოტო-ფონდი, ანაწერი № 5895

Nikoloz Kandelaki and Ucha Japaridze at the funeral of Galaktion Tabidze. 1959. Museum of Literature photo-fund. N 5895



იაკობ ნიკოლაძის სსოვნის საღამომზე. პრეზიდიუმში სხედან: მარცხენა მხარეს ნიკოლოზ კანდელაკი, მარჯვნივ ზურაბ ლეჟავა. უკანა რიგში სხედან: მარცხნიდან არჩილ თუხარელი, წინ გურამ ნიკოლაძე, შემდეგ სალომე კედია, ლევან რჩეულიშვილი. თბილისი, 1965 წ.

On the Evening in memory of Iakob Nikoladze. Sitting in the Presidium: Nikoloz Kandelaki on the left, Zurab Lezhava on the right. Sitting in the back row; First from the left Archil Tukhareli, in front Guram Nikoladze, then Salome Kedia, Levan Rcheulishvili. Tbilisi, 1965.

ერთი საუკეთესო ნიმუშია ქართული პორტრეტული ქანდაკებისა. დინჯი, სერიოზული გამოხედვა, თითქოს რომელიღაც რთული მათემატიკური ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ, ოდნავ დაღლილობის ნიშნები, მაგრამ მთლიანად ენერგიით სავსე ანფასი, ასევე ოდნავ შესამჩნევი დაღარულობა სახისა, როგორც მოაზროვნისათვის დამახასიათებელი შინაგანი ბრძოლის გარეგნული გამჟღავნება – ყველაფერი ეს იმდენად მკაფიოა ნიკო მუსხელიშვილში, რომ პორტრეტს ერთბაშად ანათებს.

ლადო გუდიაშვილის ბიუსტში სახის მკაცრი ნაკვთები და პორტრეტული მსგავსება იმდენად რელიეფურია, რომ უნებლიედ მოგაგონებთ ამ დიდი ქართველი ფერმწერის ყალამს, რომელიც მას ხელში უნდა ეკავოს. მოქანდაკე ცდილობდა

სრული ანალოგია მოენახა ლადო გუდიაშვილის სახესა და მის ფერწერულ ტილოებს შორის. ასევე ცდილობდა სრული ჰარმონიისთვის მიეღწია ზაქარია ფალიაშვილის გამოსახულებასა და მის შემოქმედებას შორის. იგი განსხვავებით, ფიგურას წარმოადგენს. ბუნებრივი, სრულიად ძალდაუტანებელი დგომა მისი ყველაზე შესამჩნევი ღირსებაა. დგას ჩვენი მუსიკალური მეტყველების ეს დიდი ოქროპირი, გულ-ხელი დაუკრეფია და თითქოს ისევ ფიქრს მისცემოდეს. წინ იხედება. ტანი მაღალი ჩანს, შეიძლება ესაა მოქანდაკის ერთადერთი გადახვევა სინამდვილისაგან, მაგრამ ეს დარღვევა ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ გამოსახულება მან შექმნა პორტრეტების გამოყენებით და არა მოდელისაგან. მაგრამ შეიძლება ხელოვანი უფრო სწორი იყოს თავის

არჩევანში, ვიდრე ჩვენ. შეიძლება მას იმიტომ სურდა ბუნებრივზე უფრო მაღალი ტანი მიეცა ზაქარია ფალიაშვილისათვის, რომ ხაზი გაესვა, თუ რამდენად ამაღლებულია გენიალური ქართველი კომპოზიტორი თავისი შემოქმედებით, რამდენად ძლიერია ჩვენი წარმოდგენა მის ფიზიკურ მონაცემებზე. აქ ფიზიკური სიმაღლე გადასულია ამაღლებულ შემოქმედებით სულში და მის რელიეფურად გამოხატვას ემსახურება. ისიც ხაზგასმულია, რომ წარმოდგენა ყოველთვის მაღლდება სინამდვილეზე, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი „დაისისა“ და „აბესალომის“ ავტორი, თავისი უკვდავებით არ შეიძლება ქართველი კაცის წარმოდგენაში ბუნებრივი სიმაღლით დარჩეს, მას ფიზიკური ამაღლებულობა უნდა მიეცეს, როგორც შემოქმედებითი გენიის ადეკვატური ფორმა. ამიტომ ნუ ვეტყვით ხელოვანს: სინამდვილე დაგირღვევია, სიმაღლე მეტი მიგიციაო, და ნუ მოვთხოვთ გაასწოროს „შეცდომა.“ არა, მას შეცდომა არ ჩაუდენია, არც ბუნების შესწორება უცდია: მხოლოდ ის გააკეთა, რასაც ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი მიმართავს ხოლმე: მშვენიერისა და ამაღლებულის გამოსახატავად. ნიკო კანდელაკის ზაქარია ფალიაშვილი მხოლოდ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ თავის „არაბუნებრივ“ სიმაღლეში, რაც ფიზიკურიდან სულიერ პრედიკატშია გადასული.



„იმერელი ჭაბუკი,“ რომელშიც ხასიათის დაჭერამ ყველაზე მეტად გაამჟღავნა კოლორიტულობა. ეს მოგრძო სახე, ოდნავ ძირს დახრილი, სიამაყის მაინც მკაფიოდ გამომთქმელი და იმდენად სახასიათოა, რომ ბიუსტი მთლიანად ადამიანური, ტიპური ჩანს. თითქოს სადღაც გვინახავს ეს კაცი, ვიცნობთ კიდევ, მაგრამ არა, არც გვინახავს და არც ვიცნობთ, ასე მხოლოდ გვეჩვენება. ტიპურს სხვაგვარად არც შეუძლია ჩვენზე იმოქმედოს. იგი მოგვაჩვენებს ხოლმე, რომ მას ვიცნობთ. ამაშია მისი ძალა. აქ მთელი ფილოსოფიაა: ნაცნობიდან – უცნობისაკენ, უცნობიდან – ნაცნობისაკენ. ტიპურის უკეთესი ფორმულა მგონი ძნელია მოინახოს.

და, თუ „იმერელი ბიჭი“ ასე კარგად მოერგო ტიპურის ამ ძირითად პრინციპს, თვით პრინციპი კი მასში

შოთა კუპრაშვილი, მეგობრული შარჟი, ქ. ფანქარი, 1960-იანი წლები. კერძო საკუთრება.

Shota Kuprashvili, Friendly Charge, paper, pencil. 1960s. Private property.

უთუოდ ერთი მშვენიერი ნამუშევარია



დimitრი ხახუტაშვილი, უხუცესი მხატვრები, დგანან; მარცხნიდან მესამე ნ. კანდელაკი, პირველი ა. ციმაკურიძე, შუაში ბ. შებუევი, სხედან; მარჯვნიდან პირველი ი. შარლემანი, შემდეგ მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე, დიპლომი, ტ.ზ. 300 X 2,30 სმ. 1953 წ. თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმი.

Dimitri Khakhutashvili, The oldest artists, Standing: third left N. Kandelaki, first A. Tsimakuridze, in the center B. Shebuev, sitting: first right I. Charlemagne, next M. Toidze, I. Nikoladze, Diploma, canvas, oil, 300 X 2.30 cm. 1953. Museum of Tbilisi Academy of Arts.

ორგანულად შეერწყა შემოქმედებითი ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტას, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ხელოვანის გამარჯვება აღვნიშნოთ და მისი ნამუშევარი ჭეშმარიტი ოსტატობის შედეგად მივიჩნიოთ. განა ვინმეს შეუძლია საწინააღმდეგო დაამტკიცოს. მაშინ ის იძულებული გახდება თვით ჭეშმარიტების წინააღმდეგ ამხედრდეს. საბოლოო ანგარიშით კი შემოქმედებითი პრინციპების ის სისტემა უარყოს, რომელიც რეალისტური ხელოვნების თეორიული საფუძველია. სწორედ ამ პრინციპებმა განსაზღვრეს „იმერელი ბიჭის“ შემოქმედებითი სახე და მისცეს მას ტიპურობასთან ერთად საოცრად დამაჯერებელი ნამდვილად ბუნებრივი კოლორიტი. მთელ ბიუსტში

ბუნებრიობა ისე ხელშესახებია, რომ მისი თითოეული ნაწილი ერთ მთლიან, სრულყოფილ სახეს ჰქმნის. ცოცხალი მოდელი თითქოს გამქრალია და მის ნაცვლად ისევ ცოცხალი მოდელია დაბადებული. ეს შემოქმედებითი მიგნება თუ აღმოჩენა იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისის სახით ეწვევა ხოლმე ხელოვანთა სახელოსნოებს.

ასეთ ნიმუშთა წყებას მიეკუთვნება მსახიობ აკაკი კვანტალიანის ბიუსტი. შემოქმედებითად უფრო ადეკვატური გამოსახვა სინამდვილისა და აბსოლუტური პორტრეტების მიღწევა ცოცხალ მოდელზე მგონი შეუძლებელი იქნებოდა.

დimitრი ხახუტაშვილი,  
ნიკოლოზ კანდელაკის  
პორტრეტი, ტილო, ზეთი,  
35 X 25 სმ. 1953 წ. კერძო  
საკუთრება

Dimitri Khakhutashvili, Portrait of  
Nicholoz Kandelaki, canvas, oil,  
35 X 25 cm. 1953.  
Private property.

აქ ორი დიდი კანონი  
შეერთდა რეალისტური  
თვალთახედვისა: ერთგულება  
ბუნებისადმი და მისი წმინდა  
შემოქმედებითი გადატანა  
იდეალში, ყველაფერი, რაც  
აკაკი კვანტალიანში მოგვწონს.  
ეს კომიკურის უაღრესად  
მსუბუქი ხაზგასმაა. ჩვენ  
ვხედავთ თითქოს ოდნავ  
ირონიულ დიმილსაც. ერთი  
შეხედვით ბიუსტი მეტისმეტად  
„ხორციელი“ მოგეჩვენებათ,  
მაგრამ ეს „მოჩვენება“  
უმალ ქრება, როცა მისი  
ფიზიკური მასის იქით თქვენ  
იგრძნობთ „სულიერს“  
თავისი პრევალირებით.  
ფიზიკური მასის  
„ხორციელობა“ ასე გადადის  
ხოლმე „სულიერში“ და ეს  
გადასვლა სხვა არაფერია,  
თუ არ შემოქმედებითი  
მეტამორფოზა.



ამგვარი „გადასვლა“ უაღრესად  
კოლორიტული სახის ბიუსტში „გიგო  
მაღალაშვილი“. ესაა ქართველი  
კაცის კეთილშობილი სახე,  
რომელსაც იშვიათი ბუნებრიობა  
გამოარჩევს: გამოხედვა,  
იერი გაგრძობინებთ, რომ  
ხელოვანს ძალა არ დაუტანებია  
პორტრეტისათვის. ყოველივე ამან  
განაპირობა მშვიდი, დინჯი და  
შინაგან არსებაში გარეგნულად  
ჩაღრმავებული განწყობა, რითიც  
მთელი პორტრეტი გამოირჩევა...

ნიკო კანდელაკის ქმნილებანი  
ზოგადადამიანური თვალით  
იხედებიან. აკაკი ხორავას  
გამოსახულება თითქოს ანტიკურ  
ქანდაკებას მოგვაგონებს. მაგრამ  
ანტიკური მასში არაფერია. ეს  
მსგავსება მარტოოდენ გარეგნული  
მხარეა. ძველი ბერძენი სხეულს  
აშიშვლებდა პირველყოვლისა ტანის  
ფიზიკური სილამაზის გამოსახატავად.  
აქ კი სიშიშვლე პირველყოვლისა  
სახის ძლიერებისა და შინაგანი  
სულიერი ვაჟკაცობის ადეკვატურ  
ასახვას ემსახურება. ასეა ბიუსტშიც



მწერლის, საქართველოს სახალხო არტისტის  
შალვა დადიანის პორტრეტი. ტონირებული თაბაშირი,  
52 X 46 X 31 სმ. 1941 წ. მოქანდაკის სახელოსნო

Portrait of the People's Artist of Georgia – writer Shalva  
Dadiani. Tinted plaster, 52 X 46 X 31 cm. 1941.  
Sculptor's studio.



დგანან: მარცხნიდან პირველი ნიკოლოზ კანდელაკი, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, ფერმწერი ეკატერინე ბაღდავაძე, 1960-იანი წლები.

Standing: First left Nikoloz Kandelaki, theatre researcher Natela Urushadze, painter Ekaterine Baghdavadze, 1960s.

– ალექსანდრა თოიძე. მხარბეჭისა და მკერდის ზედა ნაწილის სიშიშვლე ჩვენ ისევე გვაჭადოებს, როგორც ანტიკურ ქალთა ყველაზე მიმზიდველი გამოსახულებანი. ეს სწორი, უაღრესად სიმეტრიული სახე, რომელიც ცხვირი და თავდაჭერილი გამოხედვა ქართველი ქალის მშვენიერების განსახიერებაა სცენაზე და ცხოვრებაში.

ქანდაკებაში ადამიანები მეორედ იბადებიან და ამ მეორედ დაბადებულებს მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავთ – მოქანდაკე... ნიკო კანდელაკის აკაკი ხორავა და ალექსანდრა თოიძე ქართული ქანდაკების ისტორიაში შევა, როგორც მისი, ისეთივე დიდი ფურცელი, როგორც იაკობ ნიკოლაძის აკაკი და ჩახრუხაძე. ჩვენი დროის უდიდესი აქტიური აკაკი ხორავა, რომელმაც ქართულ თეატრს ღრმა კვალი დაამჩნია, უსულო ქვით უაღრესად განსულიერებული გადაეცემა მომავალ თაობებს. მას თან გაჰყვება სახელი იმ ხელოვანისა, რომელმაც იგი შექმნა და რომელსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ნიკო კანდელაკს ვუწოდებთ.

თბილისი, 1982.



## ლეო რჩეულიშვილი

*ინჟინერი, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე*

კანდელაკი ბუნებით მებრძოლია. იგი დაჭილდოვებულია ბობოქარი ტემპერამენტით და დასახული მიზნისთვის შეუძლია ბრძოლა უკანმოუხედავად. მისთვის დაბრკოლების გადალახვა ცხოვრების ძრავია. ეს შესანიშნავი შტრიხი მისი ხასიათისა შემოქმედებით



გურამ ნიკოლაძე, ნიკოლოზ  
კანდელაკის პორტრეტი,  
ტონირებული თაბაშირი,  
41 X 32 X 31 სმ. 2017 წ. კერძო  
საკუთრება.

Guram Nikoladze, Portrait of  
Nikoloz Kandelaki, tinted plaster,  
41 X 32 X 31 cm. 2017.  
Private property.

ძიებაში პლასტიკურად გარდასახული  
იბადება გმირულ სახეებში.

ეფექტური გარეგნობა. ლომსავით  
ფაფარაყრილი, მხრებზე მკვიდრად  
დამჯდარი თავი. ამაყად წელში  
გაშლილი მძლავრ ფიგურაში  
დატყვევებულია ათლეტიკური ძალა  
მოქანდაკისა და პოეტური ხედვა  
მხატვრისა.

ძიება სახის მონუმენტური ფორმისა  
მისი ხელწერის მეორე თვისებაა  
და ეს გარეგანი შინაგანთან ერთად  
დაბადებული განუმეორებელი  
სპეციფიკაა მისი ხელოვნებისა.

ლევ რჩელიშვილი, ახალი ქართული  
ხელოვნების საკითხები, თბილისი, 1998 გვ. 93.



ქანდაკების ფაკულტეტის კერამიკის სახელოსნო: მაგიდასთან მარჯვნივ ზის ნიკო კანდელაკი, უკან დგას ნინო წერეთელი, გვერდით ლადო გუდიშვილი, წინ თამარ აბაკელია. მარცხნივ ზის უცნობი. უკან დგას ალექსანდრე ფიცხელაური და სტუდენტები, რომლებიც ლარნაკებს ხატავენ. წინ ზის სტუდენტი ქანდაკებით ხელში. საქართველოს სამხატვრო აკადემია, 1927 წ.

Ceramics studio of the Faculty of Sculpture; Niko Kandelaki sitting on the right at the table, standing back Nino Tsereteli, next Lado Gudishvili, Tamar Abakelia standing in front, sitting left unknown. Alexandre Pitskhelauri standing back and students painting vases. A student with a statue in his hand sitting in front. Georgian Academy of Arts, 1927.

## ვახტანგ ბერიძე

*არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი*

იგი პოპულარული იყო, როგორც პიროვნებაც. ეს საინტერესო, სრულიად თავისებური კაცი გარეგნულადაც იპყრობდა ყურადღებას თავისი მძლავრი, მონუმენტური ფიგურით, ოქროსფერი ფაფარით. შინაგანად კი მშფოთვარე, ბობოქარი ბუნებისა იყო. გარემო ცხოვრების მოვლენებისადმი, მით უფრო, თუ საქმე ხელოვნებას ეხებოდა, გულგრილი ვერასოდეს რჩებოდა, კამათისა და „შეტაკებათა“ უეჭველი მონაწილე იყო, ხშირად - წამომწყებიც. თვითონაც მოუსვენარი იყო და სხვასაც უფრთხობდა მოსვენებას. მაგრამ მისი ეს მოუსვენრობა, ეს „შფოთი“ თავისი საქმის, პროფესიის სიყვარულით, გულმხურვალეებით იყო გამონვეული.

ძნელი იყო სამხატვრო აკადემიის, საერთოდ, საქართველოს მხატვრული ცხოვრების წარმოდგენა მის გარეშე.

ვ.ბერიძე, ნიკოლოზ კანდელაკი: ARS GEORGICA, ელ. ჟურნალი, სერია B, ახალი და თანამედროვე ხელოვნება. 2019 წ.



ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტი, ქ. ფ. 42 X 29,8 სმ. 1954 წ. კერძო საკუთრება.

Alexander (Shura) Bandzeladze, Portrait of Nikoloz Kandelaki, Paper, pencil, 42 X 29.8 cm. 1954. Private property.

## ჯიბსონ ხუნდაძე

ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი

ნიკოლოზ კანდელაკი წარმოგვიდგება, როგორც ქართული ხელოვნება, მრავალსაუკუნოვანი ბერძენის ერთ-ერთი ფესვთაგანი.

დიდი მხატვარი ცხოვრების საკუთარ წესს იმუშავებს, რომელიც ეფუძნება პიროვნების გარე სამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულებას და განიხილება ხოლმე ურთიერთობათა ფსიქოლოგიურ ფონზე, რომელიც თან სდევს მიზნის მიღწევას. ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია ცხოვრების საკუთარი წესი. ზოგიერთი მიზნის მიღწევისთვის უკომპრომისო ბრძოლას მიმართავს, ნებისმიერი კონტაქტი პიროვნებებსა და გარემოსთან ამძაფრებს მათ სულიერ განწყობას. მაგრამ, ამასთან ერთად, თავისი შემოქმედებითი პრინციპები და მრწამსი უფლებას არ აძლევს შედეგზე არ იფიქრონ, ლმობიერნი იყვნენ პიროვნებასთან დამოკიდებულებაში, რადგან ამან შეიძლება ავნოს მათ შემოქმედებით სიმართლეს. ბევრი უსიამოვნება მიაყენა ცხოვრების ასეთმა წესმა ბატონ ნიკოლოზს, მაგრამ იგი ამას ძალზედ არ განიცდიდა. ჩვენ შორიდან უკეთ ვხედავდით თუ როგორ ავნო მის კარიერას შეუპოვარმა უკომპრომისობამ ყველგან და ყველაფერში. იგი დღესაც არაა ჯეროვნად დაფასებული

ისევე როგორც დავით კაკაბაძე. ჩვენ დიდ ვალში ვართ ამ ორი დიდი პიროვნების წინაშე. მათი ადგილი იმ წმინდა მთაზეა, რომელიც გადმოჰყურებს ზემოდან თბილისს.

ნიკოლოზ კანდელაკის პლასტიკურ ხელოვნებას ვადარებ იმ მონუმენტური სტრუქტურის სიდიადესა და ზომას, რაც დამახასიათებელი იყო სეზანის მონუმენტური კონსტრუქციისთვის. ა.ხორავას პორტრეტის გოლიათური კისრისა და ზურგის პლასტიკა, სახისა და თავის გეომეტრიული, სტრუქტურული ჰარმონია ქართულ ფერწერაში მონათლეს „მონუმენტურ ხელოვნებად“. მართალია, ქართულ მონუმენტურ ხელოვნებას დღეს ღირსეული გამგრძელებლები ჰყავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „იმერლის“, „ხორავას“, „ტოლბუხინის“ და „მუხაძის“ პორტრეტები – ეს ისეთი აზროვნებაა, სადაც შინაგანად დატვირთული ფორმა მისი „შინა“ დინამიკით, მონუმენტური განზოგადებული სიდიადით ეგვიპტური სისადავისკენ ისაზღვრება და ფორმის შინაგანი დინამიკით იკვრება. სივრციდან გამოგარდნას არ ლამობს, რადგან იგი ემორჩილება კონსტრუქციულ-სტრუქტურულ შეკვრას, მოცულობრივ-სივრცობრივ სტატიკას, რაც ნამდვილ ქანდაკებას უნდა ახასიათებდეს და რაც საფუძვლად უდევს მონუმენტურ ქანდაკებას. მე მახსოვს ნიკოლოზ კანდელაკი ლომივით ფაფარდაყრილი რომ ამოდიოდა აკადემიის კიბეებზე. მახსოვს



მძლეოსნის დიმიტრი იოსელიანის პორტრეტი.  
თაბაშირი, 72 X 53 X 25 სმ. 1934 წ.  
სემ. საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმი.

Athlete Dimitri Ioseliani.  
Plaster, 72X 53 X 25 cm. 1934.  
GNM. Georgian State Museum of Arts.





მისი გამძაფრებული ბავშვური გულუბრიყვილობაც. იგი ნაღდი იყო ყველასთან დამოკიდებულებაში. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი მიხვეულ-მოხვეული აზრები. სანთლით საძებარია ასეთი მეზობელი და პირდაპირი ხელოვანი, როგორც ბატონი ნიკო იყო. რაც დრო გადის მით უფრო ნათელი ხდება თუ რა აუცილებელია მხატვრისთვის იყოს მამაცი, შეუპოვარი თავისი მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში. როცა მას ხშირად უხდება უარის თქმა ცხოვრებისეულ წვრილმანზე და დიდ ხელოვნებაში გაქარწყლება ყოველდღიურობით მიყენებული ტკივილისა.

კანდელაკის ხელოვნება იქმნებოდა, იბადებოდა და ტკივილიც შუშდებოდა, მის სულში კვლავ ნათელი ღიმილი, იუმორი და დიდი სიცოცხლე ისადგურებდა. იგი მზესავით ნათელი სახით შემოანათებდა: მხრებზე დაყრილი ოქროსფერი თმებით და ღიმილით მოვარდისფრო სახეზე ის აშუქებდა აკადემიის ჩაბნელებული ვესტიბიულის ინტერიერს. იგი იყო ძალზე შთამბეჭდავი და კოლორიტული ფიგურა, რომელიც ნათელი შარავანდედივით ედგა ფერის ერთიან ჰარმონიას და რა სამწუხაროა, რომ ესოდენ საჭირო ლამპარის ჩაქრა და გაქრა აკადემიის კედლებიდან.

ე. ამაშუკელი, ნიკოლოზ კანდელაკი, ჭედურობა, სპილენძი, 32 X 35 სმ. მისალაცი წიგნის ყდა, 1969 წ. მოქანდაკის სახელოსნო.

E. Amashukeli, Nikoloz Kandelaki, stamping, Anniversary greeting cover, copper, 32 X 35 cm. Greeting book cover, 1969. Sculptor's studio.

პიროვნებას დროის გამოცდა უწევს ყოველთვის, როგორც სიცოცხლეში, ასევე მის შემდეგაც. ამიტომაცაა, რომ ყოველი პიროვნება თავისი ნიჭით, შემართებითა და თავისი ხალხისადმი სიყვარულით ემსახურება ერის წინსვლას და წარმატებას, ამით იგი ამდიდრებს კულტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება უწერია ყველაფერს. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით მოვიგონებთ მათ, ვინც პირნათლად მოიხადა ერის წინაშე თავისი ვალი, და ნიკოლოზ კანდელაკი ხომ ამის ბრწყინვალე მაგალითია. დღესაც მესმის მისი სიტყვები; „ფორმა, ფორმა, კონსტრუქცია, კონსტრუქცია“. ფორმისადმი და კონსტრუქციისადმი სიყვარულს უნერგავდა იგი თავის მონაფეებს. მონუმენტური აზროვნება კანდელაკის ქანდაკებაში მთელი ფესვებით იყრის თავს, რამაც ხელი შეუწყო პლასტიკური მონუმენტალიზმის მრავალმხრივ განვითარებას. ისევე, როგორც სემანისგან წარმოიშვა თანამედროვე ფერწერის მრავალწახნაგოვანი და მრავალმხრივი განვითარება, რასაც ეპოქალურს უწოდებენ.

დღეს ქართული ქანდაკება განუხრელი წინსვლის პროცესშია და მონუმენტური სტრუქტურის სრულყოფისაკენ ილტვის, რასაც ხელს უწყობენ ნიკოლოზ კანდელაკის მონაფეები.

თბილისი, 1984, 26 მაისი.



საქართველოს სახალხო არტისტის  
ნატო ვაჩნაძის პორტრეტი.  
ტონირებული თაბაშირი,  
78 x 27 x 31 სმ. 1952 წ. მოქანდაკის  
სახელოსნო.

Portrait of the People's Artist of  
Georgia Nato Vachnadze.  
Tinted plaster,  
78 x 27 x 31 cm. 1952.  
Sculptor's studio.



## ჯუნა მიქაბაძე

მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი

ხელოვნების ძალა სულიერი სახის შექმნაშია, რომელიც აღჭურვილია მაღალი ოსტატობითა და ცოდნით; დიდი შრომის შედეგად შეიძლება შექმნა ცოდნისაც და ოსტატობისაც, მაგრამ მხატვარი ვერ იქნები, რადგან ნამდვილი შემოქმედება სულის წვდომაა. ის არ ისწავლება, ის დედის მუცლიდან შენთან ერთად იბადება. ამიტომ ნიკოლოზ კანდელაკის ხელოვნება უკვდავია, ისევე როგორც მისი ფასდაუდებელი პედაგოგიური ღვაწლი.

დღემდე თვალწინ მიდგას მისი სახე, გაშლილი ჭაღარა თმებით, რომელიც უფრო ლომის ფაფარს ჰგავდა. ასეა, სიკვდილი ლომსაც ერევა, მაგრამ მისი ძირი ვერ მოისპობა, რადგან ლეკვები რჩება, ეს კი მისი ნამოღვაწარის უკვდავებაა.

თბილისი, 1982.

## ბორის ციბაძე

მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი

სამხატვრო აკადემიაში ნიკოლოზ კანდელაკი მასწავლიდა 1953-1956 წლებში. როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით იგი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ნიკოლოზ კანდელაკი დიდ ფაფარაყრილ ლომს წააგავდა და ისეთივე მონუმენტური და შთამბეჭდავი იყო, როგორც მისი ქმნილებები. ფანატიკურად უყვარდა ხელოვნება, იყო ძალზე გულმართალი, პირდაპირი, კეთილი, სტუმართმოყვარე. ეს თვისებები შერწყმული მის უდიდეს პროფესიონალიზმთან და მომთხოვნელობასთან უაღრესად ჭანსად შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნიდა მის სახელოსნოში.

ნ.კანდელაკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან. არავის არ ექცეოდა გამორჩევით, ყველას ერთნაირად უნაწილებდა ზრუნვასა და ყურადღებას. ახალგაზრდებს ძალიან უყვარდათ იგი, აფასებდნენ როგორც დიდ მოქანდაკეს, ხიბლავდათ მისი ადამიანური თვისებები – კაცთმოყვარეობა და პირდაპირობა.

ნიკოლოზ კანდელაკის მგზნებარე ტემპერამენტი ერთნაირად ვლინდებოდა მის შემოქმედებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში.

საქართველოს სახალხო არტისტის ნატო ვაჩნაძის პორტრეტი. ბრინჯაო, 49 X 28 X 28 სმ. 1952 წ. სემ. საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმი.

Portrait of the People's Artist of Georgia Nato Vachnadze. Bronze, 49 X 28 X 28 cm. 1952. GNM. Georgian State Museum of Arts.



ყველას, ვინც ხელოვნებას ემსახურებოდა, ნიჭიერსა თუ უნიჭოს, დამწყებსა თუ ოსტატს, იგი უყურებდა როგორც თანამებრძოლს, რომელიც შეიძლებოდა ზოგჯერ დაეტუქსა, განწყომოდა და კიდევაც ნაჩხუბებოდა, მაგრამ არა წვრილმანი პირადული ანგარიშებით, არამედ მაღალი იდეალების, პრინციპული საკითხების, ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულის გამო. იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არ შეეძლოთ, როგორც მისი შემოქმედების, ასევე მისი პიროვნული თვისებების შეფასება, ვერ ეგუებოდა მას. ასეთ ადამიანებს ის აღიზიანებდა. ახალგაზრდობა კი თავისი შეურყვნელი იდეალებით, მთელი სულითა და გულით მიიწვედა მისკენ.

ახალგაზრდებს ძალიან უყვარდათ ნიკოლოზ კანდელაკი და ეს სიყვარული ცალმხრივი არ ყოფილა. ნიკოლოზ კანდელაკი დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდობის მიმართ. პირადად მე აკადემიის დამთავრების შემდეგ სამუშაო ადგილი არ გამაჩნდა. კანდელაკმა თავის სახელოსნოში მიმიყვანა და კარგახანს იქ ვმუშაობდი. იმ პერიოდში გამოვძერწე „ქალიშვილის პორტრეტი“. პორტრეტის ჩამოსხმისას თაბაშირი ნესტიანი აღმოჩნდა. მე მაშინ შეუძლებლად ჩავთვალე მისი გამომტვრევა და ამიტომ გადავწყვიტე გადამეგდო ნამუშევარი. მაგრამ ბატონმა ნიკოლოზმა ნება არ დამართო. ის თვითონ ჩაუჭდა პორტრეტს და დიდი გულმოდგინებითა და სიფრთხილით

ნელ-ნელა გამოამტვრია. ისე რომ ერთი პატარა ნაკვეთიც კი არ დაუზიანებია. ეს ფაქტი მეტყველებს მის უდიდეს სიყვარულზე ქანდაკებისადმი, მის მაღალ პროფესიონალიზმზე, მის უზომო ნებისყოფაზე. მას მხოლოდ საკუთარი შემოქმედება რომ ჰყვარებოდა, რალა თქმა უნდა ამით თავს არ შეიწუხებდა და ვერც ვერავინ ვერ დაემდურებოდა... მაგრამ მას ისე უანგაროდ უყვარდა ქანდაკება, რომ არ დაიზარა ეს გულისგამანვრილებელი ხელოსნური სამუშაო.

შემდეგში ამ პორტრეტმა ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე პრემია დაიმსახურა. ჩემს ამ წარმატებაში ნ. კანდელაკის უდიდესი წვლილია.

ნიკოლოზ კანდელაკის ოპონენტებისაგან გამიგია – ნ. კანდელაკი არ ხატავდა, მას ნახატი არ ჰქონიაო. საერთოდ მოქანდაკე ნახატის საშუალებით ეუფლება ფორმას და შემდეგ ცოდნას სრულყოფს ქანდაკებაში. ნიკოლოზ კანდელაკის ყოველი ფორმა სწორედ ნახატის უდიდეს ცოდნას ავლენს. მისი ხედვა უაღრესად რეალისტურია. იგი ზოგჯერ მიმართავს ფორმის უტერიებას, მაგრამ ამას დიდი ზომიერებით აკეთებს. ნიკოლოზ კანდელაკი უდიდესი ოსტატია ფორმათა კომპოზიციისა, რაც მათ ურთიერთკავშირში ვლინდება. იგი არაჩვეულებრივი სიმძაფრით გადმოსცემს მოდელის შინაგან განწყობას, ხასიათს.

შრომის გმირის მემალაროვე კ. ილურიძის პორტრეტი. ტონირებული თაბაშირი, 54,5 X 62,5 X 33,5 სმ. 1957 წ. სემ. სურათების ეროვნული გალერეა.

Portrait of the Hero of Labour, miner K. Iluridze. Tinted plaster, 54,5 X 62,5 X 33,5 cm. 1957. GNM. National Gallery of Pictures





ნიკოლოზ კანდელაკის ეს თვისება კარგად ჩანს ვახტანგ ბერიძისა და ლადო გუდიაშვილის პორტრეტებში. ორივე პორტრეტში მოდელის შინაგანი არსი გადმოცემულია მეტად რეალისტური ფორმით, ყოველგვარი სტილიზაციის გარეშე. ამავე დროს, შინაგანი ხასიათი გარეგნულად ძალიან ძუნწი, ლაკონური ფორმითაა შესრულებული, ერთი მთლიანი

მონასმით, თითქოსდა ერთი ამოსუნთქვით, მაგრამ იმდენად ზუსტადაა გამოვლენილი შინაგანი ხასიათი გარეგნულ ფორმათა უმნიშვნელოვანესი ელემენტებით, რომ პორტრეტები ახლაც ინარჩუნებენ მსგავსებას მოდელებთან. ორივე პორტრეტში მოცემულია პიროვნების უცვლელი არსი მისი განუმეორებელი ინდივიდუალობით.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორები სამხატვრო აკადემიის ეზოში. 1960-იანი წლები.


Professors of Tbilisi Art Academy in the yard of the Art Academy. 1960s.

გ. თოიძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ქ.ფ. 1955 წ. კერძო საკუთრება.

G. Toidze, Nikoloz Kandelaki, paper, pencil. 1955. Private property.

ნ. კანდელაკი დიდოსტატია ფორმათა სივრცობრივ გადაწყვეტაში. „აკაკი ხორავას“ პორტრეტი, „იმერლის“ თავი და „ტოლბუხინის“ პორტრეტი ნიკოლოზ კანდელაკის შედეგებს განეკუთვნება. „ტოლბუხინის“ პორტრეტში მოცემულია სტატიკურ ფორმათა უდიდესი კომპოზიცია; არც ერთი შტრიხი, არც ერთი ნაჭდევი არ არის ზედაპირული, ყველაფერი სივრცობრივი მონუმენტურობის მიზანს ემსახურება ნიკოლოზ კანდელაკის მხატვრული ხედვა „ღვთით მომადლებული ნიჭია“.

თბილისი, 1981, დეკემბერი.



სამხატვრო აკადემიის პროფესორები; სხედან; მარცხნიდან პირველი შოთა მიქატაძე, უცნობი, მესამე ნიკოლოზ კანდელაკი, შემდეგ ვალენტინ თოფურიძე, კოტე მერაბიშვილი, უცნობი, აპოლონ ქუთათელაძე, დავით (დუდა) გაბაშვილი, ვლადიმერ კეშელავა, იგორ ურუშაძე. დგანან: მარცხნიდან მეორე არჩილ თუხარელი, უცნობი, კორნელი სანაძე, სილოვან კაკაბაძე, შალვა კვასხვაძე, დავით ციციშვილი, ვახტანგ გიორგობიანი, შოთა კუპრაშვილი, ანატოლი მკურნალი, გიორგი (ჟორა) ჯაში, ლადო ქუთათელაძე, გიორგი (ჟორა) ცეცხლაძე, სერგო კაშხიანი, მიხეილ ჩხიკვაძე, თბილისი, ფუნისკულიორი, 1960 წ.

Professors of the Academy of Arts; Sitting: first left Shota Mikatadze, unknown, third Nikoloz Kandelaki, next Valentin Topuridze, Kote Merabishvili, unknown, Apolon Kutateladze, Davit (Duda) Gabashvili, Vladimer Keshelava, Igor Urushadze. Standing: Second left Archil Tukhareli, unknown, Korneli Sanadze, Silovan Kakabadze. Shalva Kvashvadze, Davit Tsitsishvili, Vakhtang Giorgobiani, Shota Kuprashvili, Anatoli Mkurnali, Giorgi (Zhora) Jashi, Lado Kutateladze, Giorgi (Zhira) Tsetskhladze, Sergo Kashkhiani, Mikheil Chkhikvadze. Tbilisi, Funicular, 1960s.

## ლევან ცუცქერიძე

გრაფიკოსი, ფერმწერი,  
საქართველოს დამსახურებული  
მხატვარი

სასწაული იყო, რაც კოლია  
კანდელაკმა ჩემთვის გააკეთა.  
დიპლომზე მუშაობას მე აკადემიაში  
ვერ შევძლებდი. ბევრ ხალხში  
ხატვა მიჭირდა. ბატონმა კოლიამ  
თვითონვე შემომთავაზა, რომ მის  
სახელოსნოში მივსულიყავი და იქ  
მემუშავა, ორივე მოვთავსდებით  
იქო. ორი წელი ვიმუშავე ამ  
სახელოსნოში. არაჩვეულებრივი  
პედაგოგი იყო ისიც. მახსოვს, სწორედ  
მაშინ კოლია კანდელაკი აკეთებდა  
გალაკტიონ ტაბიძის ქანდაკებას და  
თვითონ გალაკტიონი დადიოდა  
სახელოსნოში. ბატონმა კოლიამ  
მითხრა, გალაკტიონი უნდა მოვიდესო  
და შენ აქე ჩემი ქანდაკებაო. ერთხელ,  
დილას, მივედი ძალიან ადრე,  
რომ შევადე სახელოსნოს კარები,  
გალაკტიონი იდგა ჩემი ნახატის წინ.  
ჩანახატი მქონდა საწყის სტადიაზე.  
ვაკეთებდი სურათს ისტორიულ  
თემაზე: „მეფე ერეკლეს გამარჯვება  
თათრებზე“. იდგა და უყურებდა ამას.  
არ მოუხედია, ზურგით იდგა, მაგრამ  
მიხვდა, რომ მე შევედი და არა  
კოლია კანდელაკი. დიდი პიროვნება  
იყო და, როგორც ჩანს, კარგი  
ინტუიცია ჰქონდა. ყმანვილო, ვინ  
არის ესო? – მეფე ერეკლეზე მკითხა.  
მე ვუთხარი – ეს მეფე ერეკლეა-მეთქი.  
არც მოტრიალებულა, ისე მითხრა:  
„არა ეს ნამდვილად მე ვარო“. ეს იყო  
გალაკტიონთან ჩემი შეხება.

ს. ჩიტორელიძე, ინტერვიუ ლევან  
ცუცქერიძესთან, ARS GEIRGICA, ელ. ჟურნალი,  
სერია B, ახალი და თანამედროვე ხელოვნება.  
2016 წ.

## ბიორბი (ბია) ჯაფარიძე

მოქანდაკე, მხატვარი, თბილისის  
საპატიო მოქალაქე

ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში  
მესამე კურსზე გადავედი. იქამდე,  
შოთა მიქატაძესთან ვსწავლობდი.  
ნ. კანდელაკი მონათვეებს თვითონ  
ირჩევდა და არჩევანი ჩემზეც  
შეაჩერა. მალე დავრწმუნდი, რომ იგი  
უდიდესი პროფესიონალი და თავისი  
ნიჭიერებით გამორჩეული უნიკალური  
პიროვნება იყო. მიუხედავად იმისა, რომ  
ნ. კანდელაკს უმაღლესი საქანდაკო  
სკოლა ჰქონდა გავლილი, ერთი  
საოცარი თვისება გააჩნდა. ეს იყო  
ძერწვის მისეული, განუმეორებელი  
მანერა, რაც მოქანდაკის შინაგანი  
სამყაროდან გამომდინარეობდა  
და არა შეძენილი ცოდნიდან. ნიკო  
კანდელაკი ამას აღწევდა მეტად  
უბრალოდ, ინტუიტიურად გრძნობდა  
სად დაემატებინა თიხის ფენა, რომ  
გამოსახულება სრულყოფილი  
გაეხადა. მართალია, მისი ფიგურები  
ძალზე საინტერესოა, მაგრამ  
იგი პირველ რიგში უბადლო  
პორტრეტისტია. ნ. კანდელაკის  
მიერ გამოქანდაკებული თუნდაც  
ერთი პორტრეტი ღირსია იმისა, რომ  
მსოფლიო ხელოვნების საგანძურში  
შევიდეს.

მხატვარი ქალის  
ნუნუ ცაგარელის პორტრეტი,  
ტონირებული თაბაშირი.  
71 X 48 X 30 სმ. 1957 წ.  
მოქანდაკის სახელოსნო.

Portrait of the artist woman  
Nunu Tsagareli, tinted plaster.  
71 X 48 X 30 cm. 1957,  
Sculptor's studio.





ნ. კანდელაკს შემოკრებილი ჰყავდა ყველა ის სტუდენტი, რომელსაც თავის საყვარელ მოწაფედ თვლიდა. ერთ-ერთი მათგანი ვიყავი მეც. იგი საოცარი ოპტიმიზმით უდგებოდა თითოეულს, ცდილობდა რომ არცერთი სტუდენტისთვის ინდივიდუალობა არ დაეკარგა. ძერწვისას საუბარი უყვარდა ქანდაკების პრინციპებზე, კონსტრუქციასა და კომპოზიციაზე. მის მახვილ თვალს არაფერი ეპარებოდა, ზუსტად იძლეოდა რჩევებს. ნ. კანდელაკს გულწრფელად უხაროდა ყოველი მოწაფის წარმატება, რადგან იცოდა, რომ ეს მისი დამსახურებაც იყო. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყოველ ჩვენგანთან და ხშირად გვეპატიჟებოდა მცხეთის ქუჩაზე, საკუთარ სახლში გამართულ

პურმარილებზე, დაბადების დღეებზე, სადაც მის მეუღლესთან, შვილებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ვმხიარულობდით. ნ. კანდელაკი საოცრად ენაკვიმატი გახლდათ. ამიტომ სუფრაზე მის ირგვლივ ხალისიანი განწყობა სუფევდა, სიცილი არ წყდებოდა.

ნ.კანდელაკი ხშირად მეუბნებოდა, რომ თუკი მას დავემსგავსებოდი და ჩემს გზას არ მოვნახავდი „იმქვეყნად“ ძალიან ეწყინებოდა. ამიტომ სრულ თავისუფლებას მაძლევდა როგორც კომპოზიციური ამროვნების, ასევე ძერწვის მანერის მხრივ. იგი დიდი გულშემატკივარი გახდა მას შემდეგ, რაც ჩემმა სადიპლომომ ნამუშევარმა საკავშირო გამოფენაზე სპეციალური ჯილდო მოიპოვა. ამ ამბიდან

მოყოლებული ჩვენთან სტუმრად ხშირად მოდიოდა, მამას ყველა დოკუმენტი მიაწოდა იმისთვის, რომ ჩემთვის საქანდაკო სახელოსნო მოეწყო. ასეც მოხდა, 1970-იანი წლების დასაწყისში უკვე საკუთარი სახელოსნო მქონდა. ჩემს



პროფესიონალად ჩამოყალიბებასა და შემოქმედებით აქტივობაში ნ.კანდელაკს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

ინტერვიუ გია ჯაფარიძესთან. თბილისი, 2021 წ. 6 დეკემბერი.





ომის გმირის დავით ბაქრაძის პორტრეტი.  
ტონირებული თაბაშირი, 80 X 60 X 35 სმ. 1945 წ.  
მოქანდაკის სახელონო.

Portrait of the War Hero Davit Bakradze.  
Tinted plaster, 80 X 60 X 35 cm. 1945.  
Sculptor's studio.



## ოთარ ევაძე

დრამატურგი, კრიტიკოსი,  
ჟურნალისტი

აკაკი კვანტალიანი. საფლავზედა  
ბიუსტი, ბრინჯაო, 113 X 41 X 30  
სმ. 1968 წ. არქ. ვ. დონდოლაძე,  
ს-ვ. მელიქიშვილი. ქართველ  
მწერალთა და საზოგადო  
მოდერნიზატორების პანთეონი.

Akaki Kvantaliani. Tomb bust,  
bronze, 113 X 41 X 30 cm. 1968.  
